პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 ივნისი შაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 133 (15043)

## ხვალ არჩევნებია!

## ყველანი არჩევნებზე!




# ხალხის ინტერესები, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა პარტიის საქმიანობის უმაღლესი აზრია

## ამომრჩეველთა შეხვედრა ლ. ი. ბრეჟნევთან

11 ივნისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევთან შეხვედრას.

კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, ი. ვ. ანდროპოვს, პ. ნ. დემიჩევს, დ. თ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, კ. თ. კატუშევს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს.

კრება გახსნა სკკპ ბაუმანის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ნ. მაკეევმა.

ღირსშესანიშნავია, თქვა მან, რომ ჩვენი შეხვედრა მიმდინარეობს ამ სასახლეში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ მუშაობდა სკკპ XXIV ყრილობა — უმაღლესი ორგანო კომუნისტური პარტიისა, რომლის ნიჭიერი ხელმძღვანელია ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. სკკპ XXIV ყრილობა სამუდამოდ შევა ბრწყინვალე ფურცლად ჩვენი კომუნისტური პარტიის, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ყრილობამ, თქვა ორატორმა, დამაჯერებლად უჩვენა მთელ მსოფლიოს პარტიული რიგების მონოლითური ერთიანობა, პარტიის მაღალი პოლიტიკური სიმწიფე, მისი ღრმა, პრინციპული, მეცნიერული მიდგომა საქმიანობის შედეგებისადმი, მომავლის გეგმების შემუშავებისადმი.

სკკპ XXIV ყრილობამ ერთხელ კიდევ ცხადყო პარტიის ურღვევი კავშირი მასებთან, მისი მტკიცე ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, იყო კომუნისტური მშენებლობის მორიგი ეტაპის ამოცანების შესაბამისად მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებითი განვითარების ნიმუში.

თვითეული საბჭოთა ადამიანი, როცა ყრილობის მასალებს სწავლობს, ღრმად გრძნობს პარტიის საქმეებისა და გეგმების სიდიადეს.

მხოლოდ ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მუშაობა დაამთავრა ყრილობამ, თქვა ვ. ნ. მაკეევმა, მაგრამ მისი იდეები, მისი ისტორიული გადაწყვეტილებანი უკვე ხორციელდება. მოსკოველთა თაოსნობით ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ამ შეჯიბრებაში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი რაიონის მშრომელები, და აღგითქვამთ, ლეონიდ ილიას-ძევ, რომ ნაკისრ ვალდებულებას — ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალება წარმოების მოცულობის დარგში დავამთავროთ 27 დეკემბრისათვის — წარმატებით შევასრულებთ.

ორატორმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის პირველ კანდიდატებად საბჭოთა ხალხმა დაასახელა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, და ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლის სახელით მხურვალე და გულითადი მადლობა გადაუხადა ლ. ი. ბრეჟნევს იმისათვის, რომ დათანხმდა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კენჭი იყაროს ბაუმანის საარჩევნო ოლქში.

თქვენი თანხმობა, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, დიდი პატივია ჩვენთვის, თქვა ვ. ნ. მაკეევმა. ოლქის მშრომელები ამას შეხვდნენ უდიდესი სიხარულის გრძნობით, კიდევ უფრო გაძლიერდა მათი შემოქმედებითი აქტივობა. ყველა საბჭოთა ადამიანი ლ. ი. ბრეჟნევს იცნობს როგორც კომუნიზმისათვის დაუცხრომელ და თანმიმდევრულ მებრძოლს, როგორც გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს. პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, უდიდესი შრომისუნარიანობა, პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური პრობლემების გადაჭრისადმი ღრმა მეცნიერული მიდგომა, ურყევი პრინციპულობა, გამოჩენილი ორგანიზატორის ნიჭი, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ცოდნა, განუწყვეტელი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის— აი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დამახასიათებელი თვისებები.

ლეონიდ ილიას-ძის მოღვაწეობის შესანიშნავი ნიშნებია, — განაგრძო ორატორმა, — უნარი ლენინურად საღად აფასებდეს საქმის ვითარებას, პარტიისა და ხალხის მთავარ ყურადღებას მიაპყრობდეს ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, გვიჩვენებდეს კომუნიზმის გამარჯვებისათვის წარმატებითი ბრძოლის ნათელ გზებსა და საშუალებებს.

საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებში.

სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები და საზღვარგარეთელი სტუმრები დიდი გულთბილობათა და გულითადობით, უდიდესი პატივისცემით ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რაოდენ დიდია ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დამსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, მსოფლიო იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირების საქმეში.

საბჭოთა ადამიანებმა, თქვა შემდეგ ორატორმა, კარგად იციან, რაოდენ ბევრ ყურადღებას უთმობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის ზრდის საკითხებს. ყოველივე ეს იწვევს საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო ნდობასა და უზომო სიყვარულს თქვენდამი, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ. ნება მიბოძეთ ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლის სახელით თქვენ, ლეონიდ ილიას-ძევ, გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე, ახალი დიდი წარმატებანი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომ განვითარებაში, ბედნიერება და ჯანმრთელობა.

ხმას ვაძლევთ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, განაცხადა დასასრულ ვ. ნ. მაკეევმა, ამით ხმას ვაძლევთ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ ლენინურ პოლიტიკას, პარტიისა, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გზით, ხმას ვაძლევთ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების ბედნიერ, საამურ ცხოვრებას.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხნის ელექტრომემონტაჟემ, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ი. დ. დანილინმა შეკრებილთ გააცნო ლ. ი. ბრეჟნევის პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახით საბჭოთა ხალხს ჰყავს პარტიის გადაწყვეტილებებისა და დიდი ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის თანმიმდევრული და უდრეკი მებრძოლი, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მთელი ცხოვრების გზა პარტიისა და ხალხისადმი სამსახურის ბრწყინვალე მაგალითია.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე თავი გამოიჩინა ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული კომუნისტთა თოთხმეტმილიონიანზე მეტი პარტიის ნიჭიერ ხელმძღვანელად.

ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, თქვა ი. დ. დანილინმა, ვამაყობთ მით როგორც პარტიისა და ხალხის ერთგული შვილით. იგი გვიჩვენებს მაგალითს, მისგან ვსწავლობთ პრინციპულობას, მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი. ლეონიდ ილიას-ძე თავისი დაუცხრომელი შრომით, სამშობლოს, პარტიის, ხალხისადმი ერთგულებითა და თავდადებით ღირსეულად ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის საპატიო პოსტზე.

მოვუწოდებ ბაუმანის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს მომავალი არჩევნების დროს ხმა მისცენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს. 13 ივნისს, როცა ხმას მივცემთ ჩვენს კანდიდატს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას მივცემთ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინურ პოლიტიკას, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ი. ნ. გილიკომმა, ბაუმანის რაიონის № 345 სკოლის მასწავლებელმა, რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ლ. ს. ფილიპოვამ, კომუნისტური შრომის დამკვრელმა, ავტოსატრაქტორო ელექტროაპარატურის № 2 ქარხნის გამმართველმა ა. პ. ოქერელიევმა, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტმა ტ. მ. ანფიმოვამ.

ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ მოსკოველები დიდი და გულწრფელი მადლობით შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილ სიტყვებს მათი მშობლიური ქალაქის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ქ. მოსკოვის განვითარების გენერალური გეგმის შესახებ“.

ორატორებმა გულთბილად, გულითადად ილაპარაკეს ჩვენი ლენინური პარტიის პოლიტიკაზე, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატზე ბაუმანის საარჩევნო ოლქში, ამასთან ხაზგასმით აღნიშნავდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მჭიდრო კავშირს მუშათა კლასთან, კოლმეურნე გლეხობასთან, საბჭოთა ინტელიგენციასთან, მის უდიდეს დამსახურებას დიდი სამამულო ომის წლებში, ზრუნვას ფრონტელებისათვის და ყურადღებას ახალგაზრდობისადმი. მუდმივი პირადი ურთიერთობა მშრომელებთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის — გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ხასიათის შესანიშნავი თვისებაა. კრების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად, დიდი აღფრთოვანებით მისცემენ ხმას თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს.

ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის ფედერაციის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები კვლავ ცხადყოფენ საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ერთგულებას კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. კრების მონაწილენი მას ხვდებიან ფეხზე ამდგარნი, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

**ძვირფასო ამხანაგებო! პატივცემულო მოსკოველებო!**

ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა დიდი პატივი დამდეს, როცა კვლავ დამასახელეს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო ნდობისათვის იმ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მშრომელებს, რომლებმაც დამასახელეს თავიანთ კანდიდატად, ყველა ამხანაგს — კომუნისტებსა და უპარტიოებს, შრომის ვეტერანებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც წლეულს პირველად მოიხდიან თავიანთ მაღალ მოქალაქეობრივ ვალს — მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში. მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებიც გამოვიდნენ აქ, ამ კრებაზე, აგრეთვე აგიტატორებსა და ყველა ამხანაგს, რომლებიც დიდ მუშაობას ეწეოდნენ საარჩევნო კამპანიის პერიოდში.

თქვენს ნდობას მივაკუთვნებ უწინარეს ყოვლისა ჩვენს პარტიას, მის შრომასა და ბრძოლას, მის მიზნებსა და გეგმებს. ეს მიზნები კი, ამხანაგებო, პარტიის გეგმები— მთელი ჩვენი ხალხის, ყველა საბჭოთა ადამიანის მიზნები და გეგმებია!

წინასაარჩევნო კრებებზე ჩვეულებრივ მიღებულია ხოლმე მოვახსენოთ წინა არჩევნების შემდეგ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები. მაგრამ დღეს ეს შედეგები ყოველი თქვენგანისათვის, ალბათ, კარგად არის ცნობილი. სულ ამ ორი თვის წინათ დამთავრებულმა ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ, რომლის სხდომები სწორედ ამ დარბაზში მიმდინარეობდა, ფართოდ და ყოველმხრივ განიხილა და შეაჯამა განვლილ ხუთ წელიწადში ჩვენი ხალხის შესანიშნავი შრომის შედეგები. ჩვენ კანონიერად ვამაყობთ ამ შედეგებით. ამასთანავე ისინი მიგვაჩნია საწყის მიჯნად სოციალური პროგრესის ახალი მწვერვალებისაკენ წინსვლისათვის.

გზა, რომლითაც ჩვენ წავალთ წინ, ჩვენი განვითარების საერთო მიმართულება მომავალ ხუთწლეულში, აგრეთვე უფრო ხანგრძლივი პერსპექტივისათვის განსაზღვრეს ყრილობის გადაწყვეტილებებმა. ამ გადაწყვეტილებათა არსი, როგორც მოგეხსენებათ, ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

სხვანაირად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ განსაზღვრა ქვეყნის მთელი ეკონომიკის, მისი ყველა დარგის, პარტიისა და სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელი ორგანოსა და კადრების მნიშვნელოვანი შემობრუნება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანების გადაჭრისაკენ. ჩვენში წინათ არასოდეს არ დასმულა ასე ფართოდ ეს ამოცანები.

ხალხის ინტერესები, ზრუნვა მისი კეთილდღეობისათვის, სულიერი და კულტურული ზრდისათვის — ეს პარტიის საქმიანობის უმაღლესი აზრია. სწორედ ამისათვის შეიქმნა თვით პარტია, სწორედ ამისათვის მოხდა რევოლუცია. სწორედ ამისათვის საბჭოთა ადამიანები ვაჟკაცურად სძლევდნენ უდიდეს სიძნელეებს, იღებდნენ უდიდეს მსხვერპლს. და დღეს შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ: ჩვენმა ბრძოლამ, ჩვენმა გარჯამ ნაყოფი გამოიღო! საბჭოთა ხალხმა, გმირმა ხალხმა, გოლიათმა ხალხმა, ძლევამოსილად გამოიარა ყველა განსაცდელი. იგი დაადგა ლენინის პარტიის მიერ ნაჩვენებ ფართო და ნათელ გზას — კომუნიზმის გზას. იგი, როგორც ნათქვამია ცნობილ რევოლუციურ სიმღერაში, ჰპოვებს თავის ბედნიერებას. და ხალხის ეს ბედნიერება, მისი საკუთარი ხელით შექმნილი, საუკეთესო ჯილდო იქნება ჩვენი კომუნისტური საქმისათვის უანგარო მებრძოლთა მრავალი თაობისათვის!

მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, რომლებიც პარტიის XXIV ყრილობამ მიიღო, ჭეშმარიტად გრანდიოზულია. ჩვენ უნდა ავაგოთ ასობით ახალი ქარხანა და ფაბრიკა, შევქმნათ გიგანტური ელექტროსადგურები და განფენილი სატრანსპორტო არტერიები. ამას გარდა, გეგმის შესაბამისად ხელახლა უნდა მოვაწყოთ და აღვჭურვოთ ათასობით ადრე აშენებული საწარმო, ყველგან დავნერგოთ ახალი ტექნიკა, ახალი ტექნოლოგია. რამდენი საცხოვრებელი სახლი, სკოლა და საავადმყოფო, სტადიონი და კულტურის სახლი უნდა ავაშენოთ!

სერიოზული პრობლემები უნდა გადაიჭრას სოფლადაც. საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა სოფლის მშრომელთა ყოფა-ცხოვრების კეთილმოწყობისათვის. საქმე უამრავი გველის. თანაც ყველა ეს საქმე მეტად პასუხსაგებია და, როგორც წესი, მარტივი როდია. ჩვენი სოფელი მხოლოდ მაშინ გაართმევს ამას თავს, თუ ჯეროვნად დაეხმარება ქალაქი — თუ მუშათა კლასი საჭირო რაოდენობით აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სასუქებს, ჰერბიციდებს, მისცემს ბევრ სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებას. სოფლის მეურნეობის აღმავლობა მთელი ხალხის, ყველა საბჭოთა ადამიანის საქმეა.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ყველა ჩვენგანმა კარგად

(გაგრძელება მე-2 გვ.).

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები



თამარ ახალაძე,
მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომარის კოლმეურნეობის მეჩაიე.



მიხეილ სულიაშვილი,
ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მექანიზაციის სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე.



ნორა ჯინჭველაშვილი,
ქუთაისის მინის ტარის ქარხნის ამომჭრელი.

# ფრენა წარმატებით გრძელდება



ფრენის მართვის ცენტრი, 11 ივნისი. (საკდესი). ღამის პირველ საათზე მოსკოვის დროით პილოტირებული ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტი“ კვლავ შევიდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონაში. ეკიპაჟის მეთაურმა ამხანაგმა დობროვოლსკიმ კავშირის პირველ სეანსში გვაცნობა, რომ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ და ასრულებენ ფრენის პროგრამას. ყველა საბორტო სისტემა და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ფრენის მართვის ცენტრი, 11 ივნისი. (საკდესი). ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტი“ წარმატებით განაგრძობს კოსმოსურ ფრენას. 14 საათისათვის მოსკოვის დროით მან 863-ჯერ შემოუფრინა დედამიწას, აქედან 68-ჯერ ეკიპაჟთან ერთად.

მეხუთე სამუშაო დღეს კოსმონავტები აწარმოებდნენ დედამიწის ზედაპირის ცალკეული უბნების სპექტროგრაფირებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რათა მიეღოთ სხვადასხვა ბუნებრივი წარმონაქმნისა და წყლის ზედაპირის სპექტრული მახასიათებლები. ამავე დროს სპექტრომეტრის საშუალებით ზომავდნენ ატმოსფეროს ოპტიკურ მახასიათებლებს.

დაიწყო ექსპერიმენტები, რომლებიც ხორციელდება სადგურზე დადგმული გამა-ტელესკოპის საშუალებით. მათი ამოცანაა შეისწავლონ პირველადი კოსმოსური გამა-გამოსხივების ინტენსივობა, კუთხური განაწილება და ენერგეტიკული სპექტრი.

ბორტინჟინერმა ვ. ნ. ვოლკოვმა ექსპერიმენტების პროგრამის შესაბამისად მოახდინა სადგურის ორიენტაცია, გადაიყვანა იგი ავტომატური სტაბილიზაციის რეჟიმში, ეკიპაჟის მეთაურმა გ. ტ. დობროვოლსკიმ კი ჩართო გამა-ტელესკოპი და შემდგომში კონტროლს უწევდა მის მუშაობას.

დღის პროგრამის შესრულების დროს ხორციელდებოდა ექსპერიმენტი იმ სპეციალური ოპტიკური ნიმუშების თვისებებზე კოსმოსური გარემოს გავლენის კვლევისათვის, რომლებსაც სწავლობენ ატმოსფეროს გარეთ სამუშაო ასტრონომიული ტელესკოპების შექმნის მიზნით.

სრულყოფილი სამედიცინო აპარატურის დახმარებით მიღებული მონაცემების მიხედვით ამხანაგების დობროვოლსკის, ვოლკოვისა და პაცაევის ფუნქციონალური მდგომარეობა კარგია.

13 საათსა და 06 წუთზე მოსკოვის დროით ორბიტული სამეცნიერო სადგური „სალუტი“ გასცდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან პირდაპირი რადიოხილვადობის ზონას. ამის შემდეგ სადგურის ეკიპაჟთან რადიოკავშირი დამყარებული იყო სამეცნიერო-კვლევითი გემის „აკადემიკ სერგეი კოროლიოვის“ საშუალებით, რომელიც დაცურავს ატლანტის ოკეანის აკვატორიაში, და „მოლნია-1“ კავშირგაბმულობის თანამგზავრის საშუალებით.

# ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო უნგრეთის სახალხო კონტროლის კომისიის დელეგაცია

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მჟავანაძემ** 11 ივნისს მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის დელეგაცია მისი თავმჯდომარის **დიულა დაბრონაკის** მეთაურობით, რომელიც თბილისში იმყოფება.

დ. დაბრონაკისთან ერთად იყვნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიური პოლიტიკის განყოფილების სექტორის გამგე **ლასლო ბალაი**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის სამდივნოს გამგე **დიერდ აცელი**, სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის მშენებლობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე **ფერენც ჩეპენსკი**, ქალაქ ბუდაპეშტის სახალხო კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ლასლო ზარა**, ბორშოდის ოლქის სახალხო კონტროლის კომისიის თავმჯდომარე **იშტვან სიუჩი**, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი **ზოლტან მაკლარი**.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. შიკინი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე **რ. მეტრეველი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ვადაჭკორია**, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. კვარაცხელია**.

ვ. მჟავანაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით გულთბილად და გულითადად მიესალმა დელეგაციის წევრებს და მათი სახით უნგრელ ხალხს.

საუბრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა უშუალო, ამხანაგურ ვითარებაში, ვ. მჟავანაძემ აღნიშნა, რომ სახალხო კონტროლიორთა მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, თუ რა დიდი ძალაა პარტიულ ორგანიზაციათა ხელში ეს საზოგადოებრივი ინსტიტუტი. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობს 214 ათასზე მეტი კაცი. ამ მაგალითით, ხაზი გაუსვა ვ. მჟავანაძემ, კარგად ჩანს, თუ როგორ სრულდება საბჭოთა ქვეყანაში ლენინის ანდერძი, რომ კონტროლში მონაწილეობდეს მშრომელთა მთელი მასა. ჩვენში კონტროლი ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. ახლა სახალხო კონტროლის ორგანოების ძირითადი ყურადღება ექცევა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ვ. მჟავანაძემ მაღალი შეფასება მისცა სახალხო კონტროლიორთა საქმიანობას. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიული ორგანიზაციები მუდმივ ხელმძღვანელობას უწევენ სახალხო კონტროლის ორგანოებს, ცდილობენ, რომ ჩვენი კონტროლი სულ უფრო მასობრივი, საჯარო, ქმედითი, საყოველთაო და მუდმივი, ყოვლისმომცველი და ყველგანმყოფი იყოს.

შემდეგ ვ. მჟავანაძემ ვრცლად გააცნო სტუმრებს საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარება, რესპუბლიკის წინაშე მდგომი მორიგი ამოცანები.

დელეგაციის მეთაურმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარემ დიულა დაბრონაკიმ მადლობა გადაიხადა ძმური, მეგობრული შეხვედრისათვის, ქართველი ხალხის ცხოვრებისა და შრომის შესახებ ვრცელი ინფორმაციისათვის.

აქ ჩამოვედით, თქვა მან, რათა გავეცნოთ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის პრაქტიკას. მათი გამოცდილება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და მას ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში გამოვიყენებთ.

თვითეული ჩვენგანი, განაცხადა შემდეგ დ. დაბრონაკიმ, ამაყობს იმით, რომ ჩვენს პარტიებს შორის, ჩვენს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა სულ უფრო მტკიცდება და ღრმავდება. ეს სოციალისტური თანამეგობრობის ურყეობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

დ. დაბრონაკიმ დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი საქართველოში ყოფნის შესახებ. თქვენმა შესანიშნავმა მხარემ, თქვენმა ხალხმა მოგვხიბლეს, თქვა მან.

(საქდესი).

## კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

**საბჭოთა** მთავრობის მოწვევით 10 ივნისს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრობის ვიზიტად ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა გარსია. (საკდესი).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

უნდა იშრომოს, რომ შევასრულოთ დასახული გეგმები. და სამუშაო ეყოფა ყველას — ჩვენს სახელოვან მუშათა კლასსაც, კოლმეურნე გლეხობასაც, ჩვენს ინტელიგენციასაც!

ყრილობის მიერ დასახულ კურსს ფართო გაგებით მოეკიდა და სავსებით დაუჭირა მხარი საბჭოთა ხალხმა. ჩვენი ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიის მოწოდებას კომუნიზმის მშენებლობაში აქტივობის ამაღლებისათვის. პრაქტიკული საქმეებით, დამკვრელური შრომით ჩაებნენ ისინი თავიანთი ლენინური პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ახალი თვალსაჩინო მიღწევებით გამოეხმაურა ყრილობას საბჭოთა მეცნიერება, განსაკუთრებით კოსმოსისა და ციური სხეულების კვლევის დარგში. მშრომელ მთვარემავალს, რომელიც კვლავინდებურად მუშაობს მთვარეზე, ჩვენს ორ ავტომატურ სადგურს, რომლებიც განაგრძობენ ფრენას მარსისაკენ, ახლა დაემატა მსოფლიოში პირველი ორბიტული პილოტირებული სადგური „სალუტი". სტუმართმოყვარე მასპინძელივით შეხვდა იგი ორ სტუმარს: „სოიუზ-10" და „სოიუზ-11" კოსმოსურ ხომალდებს. სადგურის მამაცი ეკიპაჟი — კოსმონავტები გიორგი დობროვოლსკი, ვლადისლავ ვოლკოვი და ვიქტორ პაცაევი წარმატებით შრომობენ. ეწევიან დიდმნიშვნელოვან კვლევას საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის. ყოველივე ეს ერთად, ამხანაგებო, ჩვენი მძლავრი ინდუსტრიის, ჩვენი ტექნიკისა და ჩვენი მეცნიერების შესაძლებლობათა შთამბეჭდავი დემონსტრაციაა, რომელმაც მეტად დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის განვითარების გრანდიოზული პროგრამის შესრულებაში.

უკანასკნელი კვირეების მანძილზე წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც პრაქტიკულად ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა დასახლებულ პუნქტში გაიმართა, გამოვიდა ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანი. ხალხმა თავის კანდიდატებს მისცა განაწესი: ყველაფერი იღონონ, რაც საჭიროა, იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ახალი ხუთწლიანი გეგმა, განხორციელდეს XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

აქ, მოსკოვის ბაუმანის რაიონის ამომრჩევლებთან შეხვედრისას, არ შემიძლია კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიო ჩვენი დედაქალაქის მშრომელები. უკვე დიდი ხანია მოსკოველები დგანან სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში. ამ უკანასკნელ წლებში მათ შემოიტანეს ბევრი ძვირფასი წინადადება, რომლებმაც სრულიად საკავშირო აღიარება და მხარდაჭერა ჰპოვეს. ახლაც, ახალი ხუთწლედის პირველსავე თვეებში, მოსკოველებმა წამოაყენეს წინადადება გავშალოთ შეჯიბრება ახლანდელი, 1971 წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ეს ინიციატივა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ათასობით კოლექტივი გამოეხმაურა, სავსებით შეესაბამება დედაქალაქის მშრომელთა სახელოვან ტრადიციებს.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ბაუმანის რაიონის მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს ღირსეული ადგილი უჭირავთ შრომის მოწინავეთა რიგებში. შარშან ბაუმანელებმა ჯერ კიდევ 30 სექტემბრისათვის შეასრულეს სამრეწველო წარმოების გეგმა. კარგად დაიწყეს მიმდინარე წელიც. სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში რაიონის საწარმოებმა უკვე გამოიმუშავეს რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ნება მიბოძეთ გისურვოთ, ამხანაგებო, წარმატებით შეგესრულებინოთ ნაკისრი ვალდებულებანი ხუთწლედის პირველ წელს. დარწმუნებული ვარ, რომ იმაზე მეტსაც გააკეთებთ, რაც დასახული გაქვთ!

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მოსკოვის საწარმოებში, მათ შორის თქვენს რაიონშიც, სულ უფრო მრავლდება ჩინებული ხარისხის ბრიგადებისა და უბნების რიცხვი. იბრძვიან რა დედაქალაქის ღირსებისათვის, მოსკოვის საქარხნო მარკის ღირსებისათვის, ჩვენი ქალაქის მშრომელები ამით ცხადყოფენ, რომ ღრმად გაიგეს XXIV ყრილობის იდეები და გულმხურვალედ მოეკიდნენ მათ. თვითეულის კეთილსინდისიერი, მაღალნაყოფიერი შრომა და პროდუქციის მაღალი ხარისხი — აი ახალი ხუთწლედის დიდი ამოცანების გადაჭრის, მთელი ჩვენი ეკონომიკის, მთელი ჩვენი ცხოვრების ახალი, უფრო მაღალი დონის მიღწევის გზა. ეს ერთადერთი გზაა, რომლითაც ჩვენ შევძლებთ რეალურად და საგრძნობლად გავაუმჯობესოთ მშრომელთა კეთილდღეობა. ამ გზით, პარტიის მეთაურობით, გულდაჯერებით მიდის წინ საბჭოთა ხალხი. და ამ გზას ჩვენ არასოდეს არ გადავუხვევთ!

ამხანაგებო! ზეგ ჩვენი ხალხი აირჩევს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სამხარეო და საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების ახალ შემადგენლობებს. ისინი მიიღებენ საზოგადოების საქმეთა მართვის მანდატს უახლოესი რამდენიმე წლისათვის.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა დიდი მოცულობის სამუშაო დააწვება მხრებზე ახლად არჩეულ საბჭოებს. მათ უდიდესი როლი უნდა შეასრულონ როგორც ქალაქში, ისე სოფლად წარმოების აღმავლობის საქმეში. ბინების, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის, ადგილობრივი კეთილმოწყობისა და საჭირო საქონლითა და მომსახურებით მშრომელთა შეუფერხებელი უზრუნველყოფისათვის ზრუნვა — ყოველივე ეს საბჭოების უშუალო საქმეა.

და განა მათ შეუძლიათ დაივიწყონ ისეთი საკითხები, როგორიც არის მშრომელთა დასვენების ორგანიზაცია, სპორტული, ტურისტული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ქსელის განვითარება? ეს ხომ უმთავრესად საბჭოების მოვალეობაა!

ალბათ არ არის საჭირო აქ ჩამოვთვალოთ ყველა საკითხი, რომელთა გადაჭრაში საბჭოების აქტიურობამ, მათმა ინიციატივამ განმსაზღვრელი როლი უნდა შეასრულოს. მაგრამ საჭიროა ხაზი გავუსვათ, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მოწოდებული არიან იკისრონ მნიშვნელოვანი წილი მუშაობისა ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად შესრულებისათვის. სწორედ ეს უნდა იყოს დღეს საბჭოების მთავარი წვლილი ჩვენი ახალი, სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად ახლა საბჭოებს უფრო დიდი შესაძლებლობანი აქვთ. ამ ბოლო წლებში მიღებულმა საკანონმდებლო აქტებმა არსებითად გაზარდა საბჭოების, როგორც ადგილებზე სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უფლებები, გააფართოვა მათი მატერიალურ-ფინანსური ბაზა. საბჭოების გამგებლობაში გადადის დამატებითი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობას ემსახურებიან. საბჭოებს მიეცათ უფლება შეათანხმონ მათს ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა მუშაობა, კერძოდ, იმ მიზნით, რომ მოაწყონ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება. საბჭოებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ იმისათვის, რომ გამოაცოცხლონ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობა, შექმნან კოოპერაციული სახელოსნოები, სხვადასხვა სარეწი.

ერთი სიტყვით, საბჭოებს უნარი შესწევთ გააკეთონ ყოველივე, რასაც მათგან ამომრჩევლები მოელიან. მაგრამ ამისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ საბჭოები სწორად იყენებდნენ მათს განკარგულებაში მყოფ სახსრებსა და მინიჭებულ უფლებებს.

ჩვენს საზოგადოებრიობას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ბევრ შემთხვევაში საბჭოების განკარგულებაში არსებული მატერიალური და ფულადი რესურსების ათვისება ხდება არასრულად ან ძალიან ნელა. ზოგჯერ ფული ხმარდება ობიექტებს, რომლებსაც ვერაფრით ვერ მივიჩნევთ უპირველესი მნიშვნელობის ობიექტებად. საბჭოები ყოველთვის როდი იყენებენ აგრეთვე თავიანთ უფლებას გააერთიანონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ის სახსრები, რომლებიც გამოყოფილია საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის. ამის შედეგად კი ზიანი ადგება ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების საერთო საქმეს. ამას, ამხანაგებო, არ შეიძლება შევურიგდეთ. ახლად არჩეულმა საბჭოებმა გადამწყვეტი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საბჭოებს ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლიათ თავიანთი ბიუჯეტის შემოსავლის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა ან სახსრების დაზოგვის ხარჯზე. მაგრამ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა სახსრებს, რომლებიც კანონით თვით საბჭოებმა უნდა გამოიყენონ, მათ გამოართმევენ ხოლმე ზემდგომი საბჭოთა ორგანოები. ეს ლახავს საბჭოების უფლებებს, ბოჭავს ადგილობრივ მუშაკთა ინიციატივას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისინი სამართლიანად ნაწყენი რჩებიან იმათზე, ვინც ამ გზით არღვევს ჩვენს კანონიერებას. ასეთი შემთხვევები, ამხანაგებო, არ უნდა ხდებოდეს!

ვინაიდან ახლა ვლაპარაკობთ საბჭოების შესაძლებლობებზე, რომლებიც ჯერ რეალიზებული არ არის, მინდა მოგაგონოთ შემდეგიც. ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში XXIV ყრილობაზე უკვე აღინიშნა, რომ ჩვენ გვყავს ბევრი ადამიანი — პენსიონერები, დიასახლისები, ინვალიდები, — რომლებიც სიამოვნებით იმუშავებდნენ შეძლებისდაგვარად მომსახურების სფეროში, მაგალითად, კოოპერაციულ საფუძველზე. ასეთი ადამიანების ჩაბმა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში, მათი აქტივობის მობილიზაცია — ესეც საბჭოების ამოცანაა.

ცხადია, რომ ეს საქმიანობა უნდა მოწესრიგდეს შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით. თუ ასეთი ნორმები არა გვაქვს, უნდა შევიმუშაოთ. მაგრამ მთავარია ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი ინიციატივას, რომლის მიზანია სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას, გააუმჯობესოს მომსახურების სფეროს მუშაობა.

კარგი იქნებოდა, ამ საქმეშიც თაოსნობა მოსკოველებს გამოეჩინათ. იქნებ ღირდეს, მაგალითად, დედაქალაქის თვითეულ რაიონულ საბჭოს დავუსახოთ ასეთი კონკრეტული ამოცანა: შექმნას რამდენიმე კოოპერაციული სამკერვალო სახელოსნო, სასადილო ან სხვა ანალოგიური საწარმოები. ამ გზით შევამოწმებდით პრაქტიკულად ამ საქმის ყველა დადებით და უარყოფით მხარეს, შემდეგ კი განვაზოგადებდით შეძენილ გამოცდილებას და უფრო ფართო პლანის შესაბამის დასკვნებს გამოვიტანდით.

ახლა რამდენიმე სიტყვა ჩვენი საბჭოების მუშაობის სტილსა და მეთოდებზე. საბჭოები, განსაკუთრებით ადგილობრივი საბჭოები, ხელისუფლების ის ორგანოებია, რომლებთანაც ყველაზე ხშირად აქვს საქმე რიგით საბჭოთა ადამიანს. მშრომელები საბჭოებში მოდიან თავიანთი ყოველდღიური საჭიროებებისათვის, როცა უნდათ მიიღონ პასუხი ამა თუ იმ საკითხზე, გადაწყვიტონ ესა თუ ის საყოველდღეო საქმე.

ჩვენს საბჭოთა ორგანოებში მუშაობენ კარგი, კეთილსინდისიერი, წიგნური ადამიანები, რომლებსაც უყვართ თავიანთი საქმე, ზრუნავენ თავიანთი რაიონისა თუ დაბის ცხოვრების ყოველ მხარეზე, მაგრამ საიდუმლო როდია, რომ ჯერ კიდევ არის სამწუხარო გამონაკლისები ამ წესიდან. ხშირად კაცს, რომელიც მშობლიურ საბჭოში მიდის, არცთუ ძალიან გულთბილად შეხვდებიან, მას ცივადაც მიიღებენ, და საკითხსაც არ გადაწყვეტენ. ხოლო თუ გადაწყვეტენ კიდეც, ჯერ იმდენს ატარებენ, რომ, როგორც იტყვიან, გააბეზრებენ.

არიან ისეთი ამხანაგებიც, რომლებსაც პირად საკითხებზე მომსვლელთა მიღება ჰგონიათ წვრილმანი საქმე, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსი არ არის. ჩვენ ბევრი უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გვაქვსო. რა თქმა უნდა, საბჭოების მუშაკებს ბევრი საზრუნავი აქვთ. მაგრამ დამოკიდებულება ადამიანთა საჭიროებისადმი, მათ შორის მათი პირადი საკითხებისადმი, სრულებითაც არ არის წვრილმანი. ეს საბჭოთა დაწესებულების მუშაობის დონის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

მინდა შეგახსენოთ, რომ ვ. ი. ლენინს არა ერთხელ გავუფრთხილებივართ, საჭიროა თანმიმდევრულად ვებრძოლოთ ბიუროკრატიულ დამახინჯებებს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოთა მუშაობაშიო. საბჭოები, რომლებიც პარტიულ ორგანიზაციათა მხარდაჭერას ეყრდნობიან, გადაჭრით უნდა ებრძოდნენ ასეთ დამახინჯებებს.

როგორც ნათქვამია XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, საბჭოების მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ იგი მასების ფართო მხარდაჭერას დაეყრდნობა. უკვე ახლა საბჭოების აქტივში მუშაობს მილიონობით ადამიანი, და მათი რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება. ეს კარგი საქმეა, საბჭოების მუშაობის ნამდვილი დემოკრატიზმის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მაგრამ საბჭოების გარშემო ფართო აქტივის შექმნა ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს.

ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოების ყოველდღიური კავშირი ამომრჩეველთა მთელ მასასთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 5 მარტის დადგენილება ხაზს უსვამს, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ ისეთი წესი, რომ მოსახლეობა, ამომრჩევლები საბჭოების ყველა პრაქტიკული საქმის კურსში იყონ, ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ მათს ღონისძიებებში. რაიონებისა და ქალაქების ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები მშრომელთა განსახილველად უნდა გავიტანოთ საწარმოებში, ორგანიზაციებში, აგრეთვე საცხოვრებელ ადგილას. ახლად არჩეული დეპუტატების პირდაპირი მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ ეს საბჭოების საქმიანობის წესი ნორმა გახდეს.

სოციალისტური დემოკრატიის არსი ის არის, რომ საზოგადოებრივ საქმეთა გადაჭრაში აქტიური მონაწილეობისათვის მოვიზიდოთ მშრომელთა რაც შეიძლება უფრო ფართო მასები. და თუ საბჭოები არა, უწინარეს ყოვლისა სხვა ვინ უნდა ახორციელებდეს სოციალისტური დემოკრატიის ამ პრინციპს.

აქ საჭიროა ხაზგასმით აღვნიშნოთ ის, რაც უკვე არაერთხელ გვითქვამს: თავიანთ დიდ და მნიშვნელოვან შრომაში ჩვენს საბჭოებს, მათს მუშაკებს მუდმივი დახმარება და მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ. კომუნისტების ვალია ყოველი ღონე იხმარონ საბჭოების მთელი მუშაობის სრულყოფისა და აქტივიზაციისათვის.

საბჭოები ჩვენი ლვიძლი სახალხო ხელისუფლებაა. იგი რევოლუციის ქარცეცხლში იშვა. დიდმა ოქტომბერმა გაიმარჯვა ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!". საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. დღეს კი საბჭოების მთელი საქმიანობა ექვემდებარება უდიდესი ისტორიული ამოცანის გადაჭრას — კომუნიზმის მშენებლობას.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა თავისი მაგალითით გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ზრუნავდნენ კომუნისტები საბჭოებისათვის, მათი როლის განუწყვეტლივ ამაღლებისათვის. მაშ მოდით, ამხანაგებო, ამშიც ვიყოთ დიდი ლენინის საქმის ღირსეული განმგრძობნი!

ამხანაგებო! რამდენადაც კვირას ყოველმა ჩვენგანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ორგანოს — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს შექმნაში, — აქ საჭიროა შევეხოთ ზოგიერთ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომ განვითარებასთან.

უკანასკნელ წლებში მომიხდა ვწვეოდი ბევრ მოკავშირე რესპუბლიკას. და ყველგან—უკრაინასა და საქართველოში, ყაზახეთსა და სომხეთში, ბელორუსიასა და აზერბაიჯანში — ყველგან დიდი გულითადობით, პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებდნენ რუს ხალხს, აღნიშნავდნენ რუსეთის ფედერაციის წვლილს ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის განვითარებაში. ეს გულწრფელი მადლიერების სიტყვები დაიმსახურეს საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასმა, გლეხობამ, ინტელიგენციამ. მათმა შრომამ, მათმა ნებისყოფამ და გონებამ, მათმა უანგარობამ და გულუხვობამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში, იმაში, რომ მეფის რუსეთის ყოფილი ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარეები აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკებად გადაიქცნენ.

თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა თანავარსკვლავედში რუსეთის სფს რესპუბლიკას წამყვანი ადგილი უჭირავს — თავისი მოსახლეობითაც, ტერიტორიითაც, თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებითაც, ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალითაც.

რუსეთის ფედერაციის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს მერვე ხუთწლიანი გეგმის ამოცანები. ხუთ წელიწადში საწარმოო ფონდები და სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ერთნახევარჯერ გადიდდა. დაჩქარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპებიც. 1966-1970 წლებში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის საშუალოწლიური მოცულობა 20 პროცენტით უფრო მეტი იყო, ვიდრე წინა ხუთწლეულში.

ყოველივე ეს ძალიან კარგია, ამხანაგებო, მაგრამ მეცხრე ხუთწლედის დავალებები, უფრო შორეული პერსპექტივის მონახაზები მოითხოვენ ვიაროთ უფრო წინ და უფრო სწრაფად, უფრო ფართო ფრონტით, ვიდრე წინათ. ცხოვრება გვასწავლის, რომ რაც უფრო ფართოა ეს ფრონტი, რაც უფრო მეტი ამოცანები უნდა გადავჭრათ ერთდროულად, მით უფრო საჭიროა გადავჭრათ ისინი ურთიერთდაკავშირებულად, სისტემატურად და მიზანდასახულად, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ რთული და მრავალგვაროვანი ურთიერთდამოკიდებულება ქვეყნის ცალკეულ რაიონებს შორის, სახალხო მეურნეობის დარგებს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შორის. ერთი სიტყვით, საჭიროა კომპლექსური, სისტემური მიდგომა პასუხსაგებ გადაწყვეტილებათა შემუშავებისადმი. ჩვენ შევიმუშავეთ ასეთი მიდგომა და თანმიმდევრულად განვახორციელებთ მას.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სმოლენსკის ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა საკითხი. ჩვენ ვცდილობდით ფართოდ მივდგომოდით პრობლემას და მისი გადაჭრისას გაგვეთვალისწინებინა ოლქის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მოთხოვნილებანი, მათი კავშირი მრეწველობასთან, ტრანსპორტთან, ვაჭრობასთან და სხვ. ამიტომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის საელევატორო, სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობის სრულყოფა, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების აგება, რკინაბეტონის ნაკეთობათა პოლიგონისა და დიდპანელიანი სახლების ქარხნის მშენებლობა, კვალიფიციური კადრების მომზადება და ბევრი სხვა.

საჭიროა განვაგრძოთ და გავაფართოოთ რუსეთის ფედერაციის ოლქების ჯგუფებში, მაგალითად, როგორიც არის ცენტრალურ-შავმიწადაგიანი ზონა, ჩრდილო-დასავლეთი რაიონი, ევროპული ჩრდილოეთი, ვოლგისპირეთი, ურალი და სხვები, — საქმის ვითარების კომპლექსური, ყოველმხრივი განხილვის პრაქტიკა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ისეთ პრობლემებს, როგორიც არის მიწების მელიორაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი აღმავლობა, მეცხოველეობის განვითარება, საგზაო მშენებლობა, სოფლად ყოფაცხოვრების კეთილმოწყობა, პატარა ქალაქების მომავალი.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივი რესურსების უფრო ინტენსიური ათვისებისა და ეკონომიური პოტენციალის გადიდების საკითხებს. თუ ვილაპარაკებთ საგეგმო დავალებებზე, ახალი ხუთწლედის წლებში აღმოსავლეთ რაიონების ხვედრითი წონა საერთო რესპუბლიკურ წარმოებაში უნდა გაიზარდოს: ნავთობის მოპოვება — 11,8-დან 31,5 პროცენტამდე, გაზის მოპოვება — 13,4-დან 45,4 პროცენტამდე, ქვანახშირის ამოღება 58,2-დან 64,5 პროცენტამდე, ცელულოზის წარმოება — 22,4-დან 31,3 პროცენტამდე.

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ რაოდენობრივი მხარეა. რა დიდმნიშვნელოვანიც უნდა იყოს თავისთავად მოყვანილი მაჩვენებლები, არანაკლებ დიდმნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ, რა გზით, რა მეთოდებით ვარაუდობენ გადაჭრან ისეთი დიდი და პასუხსაგები ამოცანა, როგორიც არის რუსეთის სფსრ აღმოსავლეთ რაიონების შემდგომი ათვისება. როგორც მაგალითი შემიძლია დავიმოწმო ამას წინათ მიღებული გადაწყვეტილება 1971-1980 წლებში კრასნოიარსკის მხარის საწარმოო ძალების კომპლექსური განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ეს ღონისძიებანი ითვალისწინებენ მძლავრი ელექტროსადგურების მშენებლობასა და ამ საფუძველზე ელექტროენერგეტიკისა და ელექტროტევად წარმოებათა ახალი ბაზის, მათ შორის აღმოსავლეთ ციმბირის ელექტრომეტალურგიული კომბინატის შექმნას; დიდი ნავთობქიმიური კომპლექსის მშენებლობას, ტყის რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესამჩნევ ზრდასა და კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა განვითარებას; სამეცნიერო დაწესებულებათა შექმნას. რა თქმა უნდა, ამის პარალელურად იგეგმება საცხოვრებელი სახლებისა და სკოლების, კულტურის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა მშენებლობა.

ასეთი ხასიათისა და მასშტაბის გადაწყვეტანი, რომლებიც ერთიან მთელად აკავშირებენ სულ სხვადასხვაგვარ ფაქტორებს — ეკონომიურ, სოციალურ-პოლიტიკურ, დემოგრაფიულ, გეოგრაფიულ და ბევრ სხვა ფაქტორს, — უნდა მოვამზადოთ, კერძოდ, ბრატსკის ეკონომიური კომპლექსის, საიანსკის ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსის, დასავლეთ ციმბირის ნავთობის ბაზისათვის. შემდგომში უნდა შევუდგეთ იაკუტიის, ჩუკოტკის, შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის ყველა სხვა რაიონის განვითარების შესაბამისი კომპლექსური პროგრამების შემუშავებას.

როცა ასეთ ამოცანას სახავს, პარტია დიდ იმედებს ამყარებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებასა და შორეული აღმოსავლეთის ფილიალზე. საქმე ხომ ეხება ნამდვილ მეცნიერულ მიდგომას რუსეთის ფედერაციის უზარმაზარი ტერიტორიის ათვისებისადმი, — მიდგომას, რომელიც დღევანდელი დღის აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას შეუხამებდა ქვეყნის განვითარების შორეული პერსპექტივების გათვალისწინებას. დღეს ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, როცა ახალ-ახალ სართულებს დააშენებენ, ჩვენგან აგებულ შენობას, უკვე ნაშენების გადაკეთება აღარ დასჭირდეთ.

პირდაპირ გეტყვით, ამხანაგებო, ეს გრანდიოზული ამოცანები ვერ გადაწყდება [illegible] ერთი ან [illegible] ხუთწლედის ფარგლებში. მაგრამ უკვე [illegible] დარაზმვით, ადგილ[illegible] ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გავაკეთოთ.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ მრავალეროვანი რუსეთის ფედერაციის კომუნისტები, მშრომელები წარმატებით შეასრულებენ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ პროგრესში.

ამხანაგებო! ჩვენ ყველანი — მოსკოველები, ვამაყობთ იმით, რომ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ ჩვენს შესანიშნავ ქალაქში. ზრუნვა იმაზე, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქი სულ უფრო მშვენდებოდეს, სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდებოდეს, — პარტიის ერთ-ერთი მუდმივი საზრუნავია.

ჯერ კიდევ 1935 წელს საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცეს მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. ეს მსოფლიო ისტორიაში ასეთი მასშტაბის პირველი სოციალური და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტი იყო. ამ გეგმის შესაბამისად, რომელიც მომდევნო წლებში დაზუსტდა და შეივსო, მნიშვნელოვნად შეიცვალა რუსეთის ძველი დედაქალაქის იერი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსკოვის მოსახლეობა თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და ახლა შვიდ მილიონ კაცზე მეტია. ამავე დროის მანძილზე ქალაქის საცხოვრებელი ფონდი თითქმის ექვსჯერ გაიზარდა. ასჯერ და მეტად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება. გაყვანილია შესანიშნავი პროსპექტები და მაგისტრალები. აშენდა დიდებული შენობები, მეტროს 89 სადგური. ფაქტიურად მოსკოვი ახლა უკვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი დედაქალაქია.

მაგრამ ქალაქის ცხოვრების გართულებული და დაჩქარებული რიტმი, მოსახლეობის მოთხოვნილებათა სწრაფი ზრდა ახალ გადაწყვეტებს მოითხოვს. ჩვენი მიზანია გადავაქციოთ მოსკოვი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად, სადაც იქნება კარგი დაგეგმარება, თანამედროვე არქიტექტურა, კეთილმოწყობისა და ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მაღალი დონე. როგორც იცით, ამას წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს მოსკოვისა და ტყე-პარკების დასაცავი ზოლის განვითარების ახალი გენერალური გეგმის ძირითადი დებულებანი. ეს გეგმა, რომლის შინაარსი გუშინ გაზეთებში გამოქვეყნდა, მოიცავს პერიოდს 1985-1990 წლებამდე, ამასთან ითვალისწინებს უფრო შორეული პერსპექტივის პროგნოზებს.

ოდესღაც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინმა არქიტექტორებთან საუბრის დროს აღნიშნა, მოსკოვი ისე უნდა გარდავქმნათ, რომ მხატვრულად გააზრებული და ადამიანისათვის მოსახერხებელი ქალაქი გახდესო. ახალი გენერალური გეგმა სწორედ მიზნად ისახავს ლენინის ამ მითითების შესრულებას. გეგმით გათვალისწინებულია ქალაქთმშენებლობის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენება და ამავე დროს მოსკოვის ისტორიულად შექმნილი იერის თავისებურების შენარჩუნება. მასში შეხამებულია დედაქალაქის საწარმოთა სამრეწველო წარმოების ერთიორად გაზრდა და მშრომელთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

ახლა საქმე ის არის რომ განვახორციელოთ ეს გეგმა. რა თქმა უნდა, დედაქალაქის განვითარებაში მთელი ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. მაგრამ ძირითადი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ მოსკოველებმა, ქალაქის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა, მოსკოვის საქალაქო საბჭომ და დედაქალაქის რაიონულმა საბჭოებმა. მნიშვნელოვანი მუშაობა მოელის, რასაკვირველია, ბაუმანის რაიონის კომუნისტებსა და ყველა მცხოვრებს.

იმედი მაქვს, რომ მოსკოველები ღირსეულად შეასრულებენ ამ ამოცანებს. ამასთან გირჩევდით, ამხანაგებო, მეტი მოსთხოვოთ თქვენს დეპუტატებს — რაიონებშიც, მოსკოვის საქალაქო საბჭოშიც და რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოშიც. ჩვენი საბჭოები, ჩვენი დეპუტატები ყოველთვის უნდა გრძნობდნენ, რომ მათს მუშაობას ყრილობის გადაწყვეტილებათა, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის მუდმივ კონტროლს უწევენ ამომრჩევლები. ეს საქმისათვის მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო იქნება. ამაში დარწმუნებული ვარ.

ამხანაგებო! სკკპ XXIV ყრილობის პოლიტიკური ხაზის განხორციელების პრაქტიკული მუშაობა მოიცავს არა მარტო ქვეყნის განვითარების საშინაო პრობლემებს, არამედ ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკასაც.

XXIV ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას ახასიათებს მიზანდასახულობა და თანმიმდევრობა, მიმდინარე პრობლემების გადაჭრისადმი მიდგომა პერსპექტიული, ხანგრძლივი მიზნებისა და ამოცანების თვალსაზრისით. ისევე როგორც წინათ, ჩვენ ყოველნაირად შევუწყობთ ხელს სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებას, მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცებას. ისევე როგორც წინათ, განვამტკიცებთ საბრძოლო კავშირსა და მეგობრობას ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მთელ ძალებთან. ისევე როგორც წინათ, გავილაშქრებთ აგრესიის წინააღმდეგ, ვიბრძოლებთ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ სამხედრო ბლოკები და დაჯგუფებები შეიცვალოს კოლექტიური უშიშროების სისტემებით.

ყრილობის შემდეგ მხოლოდ ორი თვე გავიდა, მაგრამ საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ყველა მთავარი მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადავდგით წინ. თუ შევეხებით სულ ბოლო დროის ამბებს, უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება. ამ ხელშეკრულების შინაარსში მკაფიოდ აისახა მჭიდრო მეგობრობა, ურთიერთმხარდაჭერა და ურთიერთგაგება, რომლებითაც გამოირჩევა საბჭოთა კავშირისა და პროგრესული არაბული სახელმწიფოების ურთიერთობა. ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ მოწმობს ხალხთა ანტიიმპერიალისტური ფრონტის მზარდ შეკავშირებას.

საჭიროა ითქვას აგრეთვე საბჭოთა კავშირში კანადის პრემიერ-მინისტრის ტრიუდოს ვიზიტის შედეგების შესახებ. საბჭოთა კავშირ-კანადის ოქმი კონსულტაციების შესახებ, ისე როგორც წინათ, სსრ კავშირში საფრანგეთის პრეზიდენტის პომპიდუს ვიზიტის დროს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ოქმი, დამაჯერებლად გვიჩვენებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა აქტიური პოლიტიკური თანამშრომლობის დიდ შესაძლებლობებს. და რაც უფრო დაინტერესებული იქნებიან ჩვენი პარტნიორები მშვიდობის დაცვით, ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა ურთიერთობის განვითარებით, მით უფრო ფართო იქნება ასეთი შესაძლებლობანი და მით უფრო ადვილი იქნება მათი რეალიზაცია.

ეს სავსებით შეეხება თანამედროვეობის ისეთ უდიდეს პრობლემასაც, როგორიც არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო ნება მიბოძეთ უფრო დაწვრილებით შევეხო ზოგიერთ ასეთ საკითხს.

ბრძოლა მილიტარიზმის წინააღმდეგ, განიარაღებისათვის მუდამ, ლენინის დროიდან, იყო საბჭოთა სახელმ-

(დასასრული მე-3 გვერდზე).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

წიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. ჩვენი ქვეყანა, ჩვენი პარტია დღესაც ამ კურსის ერთგული არიან. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა XXIV ყრილობის დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მთელი კომპლექსი კონკრეტული წინადადებებისა, რომელთა მიზანია როგორც ნაწილობრივი ღონისძიებების განხორციელება, ისე საყოველთაო და სრული განიარაღების საფუძვლების შექმნა.

შეიძლება გვითხრან — ამგვარი წინადადებები ხომ არაერთხელ წამოუყენებია საბჭოთა სახელმწიფოს წარსულშიც, მაგრამ მეორე მხარეს ისინი არ მიუღიათ. ხომ არ მოწმობს ეს განიარაღების გეგმების, გამალებული შეიარაღების შეზღუდვის არარეალობას სამყაროში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს კაპიტალიზმი, სადაც საერთაშორისო ვითარებაზე კვლავ არცთუ მცირე გავლენას ახდენენ იმპერიალისტური სახელმწიფოები?

რა თქმა უნდა, განიარაღებისათვის ბრძოლა რთული საქმეა. აქ, ისე როგორც საგარეო პოლიტიკის ბევრ სხვა საკითხში, ჯიუტად გვეწინააღმდეგებიან იმპერიალისტური ძალები. მიუხედავად ამისა სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული წინადადებები ჩვენ მიგვაჩნია არა პროპაგანდის ლოზუნგებად, არამედ მოქმედების ლოზუნგებად, რომლებიც ასახავენ პოლიტიკურ მიზნებს, რომელთა მიღწევა ჩვენს ეპოქაში სულ უფრო მეტად შესაძლებელი ხდება.

სახელდობრ რა გვაძლევს ჩვენ საშუალებას ამგვარად დავსვათ საკითხი? უწინარეს ყოვლისა ძალების შეცვლილი თანაფარდობა მსოფლიოში — როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ისე სამხედრო ძალებისა.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ იმპერიალისტები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკელი იმპერიალისტები, სერიოზულად იმედოვნებდნენ გამალებული შეიარაღების საშუალებით განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები მსოფლიო ასპარეზზე, თანაც შეესუსტებინათ სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკა, ჩაეფუშათ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის გეგმები. ახლა ჩვენი მტრების ამგვარი ვარაუდების ჩაფუშვა სავსებით ცხადი გახდა. ახლა ყველა ხედავს, რომ სოციალიზმი საკმაოდ ძლიერია, რათა უზრუნველყოს როგორც საიმედო თავდაცვა, ისე ეკონომიკის განვითარება, თუმცა, რა თქმა უნდა, დიდი თავდაცვითი ხარჯები რომ არ გვქონდეს, ჩვენ გაცილებით უფრო სწრაფად წავწევდით წინ ჩვენს მეურნეობას.

მეორე მხრივ, იმპერიალისტები, მათ შორის ყველაზე მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში, — სულ უფრო გრძნობენ თავის თავზე თავშეუკავებელი გამალებული შეიარაღების უარყოფითს ეკონომიურ და პოლიტიკურ შედეგებს. უზარმაზარი სამხედრო ხარჯები კაპიტალის ქვეყნებში წარმოშობენ ქრონიკულ ინფლაციას, იწვევენ სისტემატურ სავალუტო-ფინანსურ კრიზისებს, აძნელებენ გამწვავებული საშინაო პრობლემების გადაჭრას.

ამავე დროს ძლიერდება მშრომელთა აღშფოთება მილიტარიზმისა და აგრესიის პოლიტიკის გამო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის საწინააღმდეგო მოძრაობა სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებს, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მთავრობაზე. სამხედრო ხარჯების ზრდისადმი წინააღმდეგობა ძლიერდება აგრეთვე ნატოს სხვა ქვეყნებში. შედეგად დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეების ერთ ნაწილშიც კი გამალებული შეიარაღება აღარ მიაჩნიათ უდავო სიკეთედ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, რამდენადმე უადვილებს ბრძოლას სოციალისტურ და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. ასეთი ბრძოლა უფრო რეალური ხდება, ვიდრე წინათ.

ამ ვითარებაში, ეჭვი არ არის, მეტი მნიშვნელობა ეძლევა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომლის დადებითი შედეგი, ჩვენი აზრით, შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ამოცანას.

მე უკვე მითქვამს, რომ ამ მოლაპარაკების წარმატებისათვის განმსაზღვრელია ორივე მხარის თანაბარი უშიშროების პრინციპის მტკიცე დაცვა, უარისთქმა იმ ცდებზე, რომ რაღაც ცალმხრივი უპირატესობა მიიღონ მეორე მხარის ხარჯზე. ამიტომ მინდა იმედი გამოვთქვა, რომ შეერთებული შტატების მთავრობაც დაიკავებს კონსტრუქციულ პოზიციას.

თანაბარი უშიშროების პრინციპს სიტყვით ვაშინგტონიც აღიარებს. საქმით კი ამერიკის მხარეს ვერაფრით ვერ აუძულებია თავი თანმიმდევრულად განახორციელოს იგი. შეერთებულ შტატებში, მაგალითად, სისტემატურად სტეხენ ხმაურს საბჭოთა კავშირის თავდაცვითი პროგრამების გამო — განსაკუთრებით ვაშინგტონში მორიგი სამხედრო ბიუჯეტის მიღების წინ. ამასთან ღონისძიებებს, რომელთაც ჩვენ ვახორციელებთ თავდაცვის განმტკიცებისათვის, სახავენ „მუხანათობად", მოლაპარაკების წარმატებისათვის პირდაპირ საფრთხედ. მაგრამ საკითხავია, რა საფუძველი აქვს ვაშინგტონს მოელოდეს, რომ ჩვენ უარს ვიტყვით უკვე მიღებულ პროგრამებზე, თუ თვით ამერიკის მთავრობამ იმ ხნის განმავლობაში, რაც მოლაპარაკება მიმდინარეობს, მიიღო რამდენიმე ძალიან დიდი გადაწყვეტილება თავისი სტრატეგიული ძალების ზრდის შესახებ? უკვე დიდი ხანია დროა უარი ვთქვათ თავისი მოქმედებისა და სხვა მხარის მოქმედების შეფასების დროს ორნაირ საზომზე, ორნაირ სტანდარტზე.

და ეს მარტოოდენ რაკეტებს როდი ეხება. ამერიკის შეერთებული შტატების პროპაგანდისტულმა მანქანამ მთელი კამპანია გააჩაღა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის გამო. ვაშინგტონში, თურმე, საფრთხედ მიაჩნიათ, რომ ჩვენი ხომალდები დაცურავენ ხმელთაშუა ზღვაში, ინდოეთის ოკეანეში, სხვა ზღვებში. მაგრამ ამასთან ამერიკელ პოლიტიკოსებს ნორმალურად და ბუნებრივად მიაჩნიათ, რომ მათი მეექვსე ფლოტი მუდმივად იმყოფება ხმელთაშუა ზღვაში, რომ იტყვიან, საბჭოთა კავშირის ცხვირწინ, ხოლო მეშვიდე ფლოტი — ჩინეთისა და ინდოჩინეთის ნაპირებთან.

ჩვენ არასოდეს არ მიგვაჩნდა და არ მიგვაჩნია იდეალურად მდგომარეობა, როცა დიდ სახელმწიფოთა სამხედრო ფლოტები დიდხანს დაცურავენ ცხრა მთას იქით თავისი ნაპირებიდან. ჩვენ მზად ვართ გადავჭრათ ეს პრობლემა, მაგრამ გადავჭრათ, როგორც იტყვიან თანაბრად.

ასეთი პრინციპების საფუძველზე საბჭოთა კავშირი მზად არის განიხილოს ყოველგვარი წინადადება. თავის მხრივ, ჩვენ ყრილობაზე გამოვიჩინეთ მთელი რიგი ინიციატივა — აიკრძალოს მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღი, შემცირდეს სახელმწიფოთა სამხედრო ბიუჯეტები, მთლიანად შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა. ჩვენ წინადადება წამოვაყენეთ აგრეთვე მოწვეულ იქნას ხუთი ატომური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის — კონფერენცია. ჩვენ მოველით პასუხს ამ წინადადებებზე. პასუხს მოელის მსოფლიო საზოგადოებრიობაც.

თქვენ იცით, რომ ჩვენს წინადადებათა შორის არის აგრეთვე წინადადება ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ. ეს დიდი და დამოუკიდებელი საკითხია, და მის გამო ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს არაერთგზის გამოგვითქვამს შესაბამისი მოსაზრებანი. ამ საკითხის გადაჭრის გზაზე პრაქტიკულ შედეგებს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელებისა და მტკიცე მშვიდობისათვის. შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის თვალსაზრისს ამ საკითხზე გარკვეული ინტერესით მოეკიდნენ დასავლეთის მეტი წილი ქვეყნები. ეს საკითხი ნატოს ამასწინანდელმა ლისაბონის სესიამაც განიხილა. მაგრამ ზუსტი პასუხი ჯერჯერობით არ მიგვიღია. ჩვენ კვლავ გვეკითხებიან: ჩვენი წინადადება მარტო უცხოელთა შეიარაღებულ ძალებს შეეხება თუ იგი აგრეთვე ეროვნულ შეიარაღებულ ძალებს მოიცავს? ამაზე ასე ვუპასუხებდით: მზად ვართ განვიხილოთ ერთიცა და მეორეც. თავის მხრივ, ჩვენ ერთხელ კიდევ ვადასტურებთ, რომ მზად ვართ ჯეროვანი ყურადღება დავუთმოთ საკითხთა მთელ ამ დიდმნიშვნელოვან კომპლექსს. ცხადია, ჩვენ ვიმოქმედებთ ჩვენს მოკავშირეებთან მჭიდრო კონტაქტით.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, პირობა მოგცეთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ერთგულნი, კვლავაც დაუცხრომლად და აქტიურად განახორციელებენ საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს, რომ უზრუნველვყოთ ყველა პირობა საბჭოთა ხალხის მშვიდი, მშვიდობიანი შრომისათვის, რომ განვამტკიცოთ ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის საფუძველი. ეს ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსია, და ჩვენ თანმიმდევრულად განვახორციელებთ მას!

ძვირფასო ამხანაგებო! მომავალ არჩევნებში თქვენ, ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიონის ამომრჩევლებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ამომრჩეველმა, ხმა უნდა მისცეთ არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკმა დაასახელა დეპუტატობის კანდიდატებად. თქვენ არსებითად ხმას მისცემთ ამ ბლოკის პოლიტიკურ პლატფორმასაც. მას საფუძვლად უდევს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ყრილობისა, რომელმაც დასახა ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურის ამაღლების, საბჭოთა საზოგადოების შემდგომი შეკავშირებისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის მკაფიო კურსი. ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ არჩევნები მთლიანად დაადასტურებენ ჩვენი პარტიის ხაზის საყოველთაო-სახალხო მოწონებას.

დასასრულ მინდა ერთხელ კიდევ მადლობა გადაგიხადოთ გაწეული ნდობისათვის. ნება მიბოძეთ პირობა მოგცეთ, რომ კვლავაც, როგორც მთელი ჩემი შრომითი ცხოვრების მანძილზე, მთელ ჩემს ძალ-ღონეს მოვახმარ კომუნიზმის საქმეს, ხალხის საქმეს. სხვა ინტერესები, სხვა მიზნები მე, როგორც კომუნისტს არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს.

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!
გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!
გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!
გაუმარჯოს კომუნიზმს!

**(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს ხშირად გაისმოდა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ამომრჩეველთა შეხვედრა გადაიქცა პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად, გვიჩვენა, რომ დედაქალაქის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ცხადყო მოსკოველთა მხურვალე მისწრაფება განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. (საკდესი).

# მთავრობის ჯილდოების გადაცემა

**აბაშა,** 11 ივნისი. (საქდესი). გუშინ ქალაქის კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მთავრობის ჯილდოების გადაცემას რაიონის იმ მოწინავე მშრომელებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მერვე ხუთწლედში.

კრება გახსნა პარტიის აბაშის რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. ჩაგუნავამ.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი რაიონის სოფლის მეურნეობის 43 მუშაკის ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ წაიკითხა აბაშის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ნადარეიშვილმა.**

შრომის გმირებს ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ.** მან ახალი წარმატებები უსურვა მათ მუშაობასა და პირად ცხოვრებაში.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდემ **ჩ. ჯამაშურიამ,** ეთერზეთოვანი კულტურების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის მეაპარატემ **ჯ. კაჭარავამ,** სოფელ ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **შ. ქოიავამ** და სხვებმა. მათ პირობა მისცეს პარტიასა და მთავრობას, რომ მაღალი ჯილდოების პასუხად ახალ შრომითს წარმატებებს მოიპოვებენ მეცხრე ხუთწლედში.

**წულუკიძე,** 11 ივნისი. (საქდესი). საზეიმოდ იყო მორთული პარტიის წულუკიძის რაიკომის სხდომათა დარბაზი, სადაც გუშინ შეიკრიბნენ რაიონის წარჩინებული ადამიანები, რომელთა შრომა მერვე ხუთწლედში მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა.

საზეიმო კრება გახსნა პარტიის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. მელქაძემ.**

წულუკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. აბზიანიძემ** შეკრებილთ წაუკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება.

ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენები და მედლები დაჯილდოებულთ გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ** და ახალი შრომითი გამარჯვებები უსურვა მათ.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ნ. კოპალიანმა,** სოფელ გოჩა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ **ტ. ცაგარეიშვილმა** და წულუკიძის აბრეშუმსახვევ-საგრეხი ფაბრიკის დირექტორმა **ვ. ბერაძემ.** მათ მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას შრომის დიდად დაფასებისათვის და აღუთქვეს, რომ ახალ ხუთწლედშიც ჩინებულად იმუშავებენ.

**გეგეჭკორი,** 11 ივნისი. (საქდესი). კარგად იმუშავეს გასულ ხუთწლეულში გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა და შემთხვევითი როდია, რომ სოფლის მეურნეობის ასამდე მუშაკს მიენიჭა მთავრობის მაღალი ჯილდოები — ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენები და მედლები.

რაიონის წარჩინებული ადამიანებისათვის ორდენებისა და მედლების გადაცემას მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც გუშინ გაიმართა პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში. კრება გახსნა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. ჩხოლარიამ.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი წაიკითხა გეგეჭკორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. სურმავამ.**

ორდენები და მედლები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ.** მან დაჯილდოებულთ მიულოცა და გამოთქვა რწმენა, რომ მიმდინარე ხუთწლედში უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებენ.

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **მ. ნაჭყებიამ,** სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა „ავანგარდის" თავმჯდომარემ **ვ. წულაიამ,** საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანმა **ლ. კირთაძემ,** სოფელ ნაგვაზავოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა **გ. ჭუბაბრიამ,** დიდი ჭყონის ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ვ. ჯანაშიამ** დაჯილდოებულთა სახელით დადეს პირობა, რომ გაამრავლებენ შრომითს წარმატებებს, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

**თერჯოლა,** 11 ივნისი. (საქდესი). გუშინ აქ გაიმართა საზეიმო კრება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობის ჯილდოები გადასცეს რაიონის 65 მშრომელს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს დამკვრელური შრომით წინა ხუთწლედში.

კრება გახსნა პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა **ი. ყიფიანმა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ორდენებითა და მედლებით შრომის დამკვრელთა დაჯილდოების შესახებ წაიკითხა თერჯოლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ღიბრაძემ.**

ჯილდოები გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. გოგიჩაიშვილმა.** მან გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და ახალი შრომითი წარმატებანი უსურვა მათ.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს სოფელ თუზის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა **დ. რიჟამაძემ,** სოფელ ეწერის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ვ. ზარნაძემ,** სოფელ ზედა სიმონეთის კოლმეურნეობის მწველავმა **მ. ხულამანიძემ** და სხვებმა. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან დიდი წვლილი შეიტანონ ახალი ხუთწლედის შესრულების საქმეში.

# საქართველოს ჟურნალისტთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები

**10 ივნისს** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში გაიმართა რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი, რომელზეც სჯა-ბაასი იყო საქართველოს ჟურნალისტთა იმ დიდმნიშვნელოვან ამოცანებზე, რომ ჩვენი პრესის ფურცლებზე ღრმად გააშუქონ სკკპ ისტორიული XXIV ყრილობის მასალები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორები, რესპუბლიკური გაზეთების საკუთარი კორესპონდენტები, ტელევიზიისა და რადიოს, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის

**საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი**

◆

**დ. მჭედლიშვილის** მოხსენება — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს ჟურნალისტთა ამოცანები".

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების თავმჯდომარე, გაზეთ „თბილისის" რედაქტორი **ნ. ჯაში,** რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **გ. გიგოლაშვილი,** გაზეთ „ლენინსკოე ზნამია" რედაქტორი **პ. ალტუნინი,** სამტრედიის რაიონული გაზეთის „წინსვლის" რედაქტორი **ვ. ნიკოლეიშვილი,** გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" განყოფილების გამგე **ა. კიკნაძე,** საქდესის დირექტორის მოადგილე **ვ. გელაშვილი,** მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის" რედაქტორი **ა. გურგენიძე,** ქუთაისის საქალაქო გაზეთის „ქუთაისის" რედაქტორი **გ. მეფისაშვილი,** გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორი **ა. მამისაშვილი.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ დ. მჭედლიშვილმა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელები და დიპლომები გადასცა ჟურნალისტთა ჯგუფსა და გაზეთების რედაქციებს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე **დ. გოგოხია.**

(საქდესი).

## მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა





**აფხაზეთის** უმშვენიერეს კურორტებს — გაგრასა და ბიჭვინთას შორის მდებარეობს სახელგანთქმული გაგრის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობაში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. აფხაზი თუ ქართველი, რუსი თუ სომეხი, უკრაინელი და აზერბაიჯანელი, — აქ ერთმანეთის მხარდამხარ, ძმურად შრომობენ და ქმნიან დოვლათს, რომელმაც ასე ააყვავა და დაამშვენა აქაურობა. გაგრისა და ბიჭვინთის კურორტების ჯანმრთელობის კერები თუ ამაყობენ თავიანთი გემრიელი კერძებითა და ბოსტნეულით, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით შრომის წითელი დროშის ორდენოსან გაგრის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს.

თუ როგორ მიაღწიეს მეცხოველეობის პროდუქტიულობაში ესოდენ მაღალ წარმატებებს, რენტაბელობას და რა პერსპექტივებს ისახავენ ახალ ხუთწლედში, ამაზე ჩვენს საკუთარ კორესპონდენტს ი. გობეჩიას ესაუბრა მეურნეობის დირექტორი, ლენინის ორდენოსანი **ვასილ ძნელაძე.**

— ყოველ წელს, ყოველ ახალ ხუთწლედს, — განაცხადა ვ. ძნელაძემ, — ახალ-ახალი წარმატებანი მოაქვს ჩვენი მეურნეობის მშრომელებისათვის. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია ჩვენთვის მიმდინარე საიუბილეო წელი. გასულ ხუთწლედში მოპოვებული წარმატებისათვის პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს მეურნეობის კოლექტივის შრომა, შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს იგი. მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს მეურნეობის მთელმა რიგმა მუშაკებმა. მოპოვებული წარმატებანი გვავალებს ამ მაღალ ჯილდოს ახალი მიღწევებით ვუპასუხოთ, დავეუფლოთ მეცნიერების ახალ მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას. საამისოდ ჩვენს მეურნეობას ყოველგვარი პირობები აქვს.

მეურნეობის შრომისმოყვარე კოლექტივს მართლაც დამსახურებულად შეუძლია იამაყოს. გასულ ხუთწლედში გეგმის გადამეტებით მეურნეობამ აწარმოა 1.894 ცენტნერი რძე და 890 ცენტნერი ხორცი. ამაღლდა პირუტყვის პროდუქტიულობა. თუ ხუთწლედის პირველ წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე იღებდნენ 3.467 კილოგრამ რძეს, გასულ წელს წველადობამ 3.828 კილოგრამს მიაღწია. რძის საერთო წარმოება 1966 წლის 10.400 ცენტნერიდან 1970 წლისათვის 14.012 ცენტნერამდე გაიზარდა, საგრძნობლად გადიდდა პროდუქტების დამზადება.

მეურნეობაში ცენტნერი რძის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულზე 40 კაპიკით შემცირდა, ხუთწლედში მიღებულია 116.500 მანეთი წმინდა მოგება ნაცვლად 39,300 მანეთისა.

რძის წარმოების ზრდის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს პირუტყვის სრულყოფილი კვება. მეურნეობის მწველავები მკაცრად იცავენ კვების რაციონს. პირუტყვს საჭირო რაოდენობით აძლევენ სიმინდის სილოსს, თივას, კომბინირებულ საკვებს, მარილს და კალციუმის ფოსფატს. ზაფხულის პერიოდში პირუტყვს მწვანე საკვებიც ეძლევა.

განსაკუთრებული ყურადღებით არის მოსილი მოზარდეული პირუტყვი. ხბოების საშუალო სადღეღამისო მატება 600-700 გრამს შეადგენს. 18 თვის ასაკში ახალგაზრდა პირუტყვის წონა 370-400 კილოგრამს აღწევს.

პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაში დიდ როლს ასრულებს სახიშე-სასელექციო მუშაობა, რაც მაღალპროდუქტიული ძროხებისაგან მიღებული ხბოების შერჩევისა და გაზრდის საშუალებას იძლევა.

მეურნეობაში მტკიცედ ვიცავთ ვეტერინარულ - ზოოტექნიკურ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს. ყველაფერი ეს კარგ შედეგებს იძლევა. მრავალი წლის განმავლობაში არ ყოფილა პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევა.

იმ დიდი ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც მეურნეობის კოლექტივის წინაშე დგას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

მეურნეობას დაარსების პირველ წლებში, არავითარი საკვები ბაზა არ ჰქონდა. სათიბი ფართობების უქონლობის გამო საკვებს სხვაგან ყიდულობდნენ. გვერდით კი იყო ჭაობიანი, დაჭაობებული მიწები. დიდი შრომის დახარჯვა მოგვიხდა, რომ უნარიანად ჩაგვეყენებინა ეს ადგილები ახალგაზრდა მეურნეობის სამსახურში.

# ასე გახდა რენტაბელური, მომგებიანი

### გაგრელ მეცხოველეთა გამოცდილება

**ვ. ძნელაძე,**
გაგრის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

◆

ახალათვისებულ მიწებზე მეურნეობის კოლექტივმა შეისწავლა საკვები კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის მეთოდები. აგროქიმიური კარტოგრამების საფუძველზე რაციონალურად ვიყენებთ მინერალურ სასუქებს, დიდ ყურადღებას ვუთმობთ ნიადაგის გაკირიანებას, მორწყვას. ნათესების მოსავლიანობა იზრდება საუკეთესო ჯიშების დანერგვის გზითაც. მაგალითად, გაგრის დარაიონებული ჯიში ჩვენი მეურნეობის პირობებში ჰექტარზე 30 ტონამდე მოსავალს იძლევა. ძირითადი კულტურების — სასილოსე სიმინდის, თივისათვის ბალახის გარდა, მოგვყავს საკვები კომბოსტო, ბოლოქვა, ჭარხალი და სხვ. ...ჩეული, ვამზადებთ ბალახის ფქვილს. პირუტყვი ადრე გაზაფხულიდან უზრუნველყოფილია მწვანე საკვებით, სასილოსე სიმინდი ითესება მზესუმზირასთან ერთად, ხოლო სიმინდს მწვანე საკვებისათვის ვთესავთ ცერცვოვან კულტურებთან ერთად: როგორც მზესუმზირა, ისე ცერცვოვანი მცენარეები მდიდარია ცილით, რომელიც ამაღლებს პირუტყვის პროდუქტიულობას.

მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვების მოსავლის აღების პერიოდში დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას. თივას ვწნეხავთ და ისე ვინახავთ. მარტო შარშან დავამზადეთ 7.450 ცენტნერი თივა, სილოსად ჩაიდო 45.370 ცენტნერი მწვანე მასა, ვაწარმოეთ 52.000 ცენტნერი წვნიანი და მწვანე საკვები.

ხელოვნური რწყვა აქაური ყანების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია. გვალვიან ამინდში ხელოვნური რწყვა მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა. წელს ეს ღონისძიება განხორციელდა იონჯის ნათესებში, რაც საშუალებას იძლევა შვიდჯერ მაინც ჩავატაროთ თიბვა. ყოველი ჰექტარი მეურნეობას აძლევს 13 ტონამდე იონჯას, 2-3 ტონით მეტს, ვიდრე შარშან. ხუთწლედის ბოლოსათვის განსაზღვრულია საგრძნობლად გავზარდოთ სარწყავი ფართობები.

ახალ ხუთწლედში მეურნეობაში გადიდდება ბოსტნეულის წარმოება. თუ მანამდე მეურნეობაში ძირითადად კომბოსტო მოჰყავდათ, შემდეგისათვის განზრახულია მოიყვანონ საადრეო კიტრი და პამიდორი. ამ მიზნით მეურნეობაში აგებულ იქნა ხუთი სათბური, თვითეული 1.000 კვადრატული მეტრი ფართობით.

მეურნეობის საერთო წარმატებებში გადამწყვეტ როლს ასრულებენ მექანიზატორები. ოცდაათი სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, მისაბმელი და თვითმავალი კომბაინები, სათიბი და მტვირთავი მანქანები, რომლებიც ძირითადად მეცხოველეობისა და საკვებმომპოვებელ ბრიგადებს ემსახურებიან, მართლაც საუკეთესო პირობებს ქმნიან ხალისიანი და მაღალნაყოფიერი შრომისათვის. მეურნეობაში ტექნიკამ მთლიანად შეცვალა ხელის შრომა. მაგალითად, მექანიზატორთა საკვებმომპოვებელმა ბრიგადამ საკვების წარმოებაში 200 კაცის შრომა შეცვალა. მექანიზატორთა შორის განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ გ. გავრილჩენკო, ვ. იაროსლავცევი, ვ. რებატუნოვი და სხვები.

მეურნეობამ წარმატებით დაიწყო ხუთწლედის პირველი წელი. წელს გეგმით სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 12.920 ცენტნერი რძე, ხოლო ვალდებულებით — 13.400 ცენტნერი, ხორცი გეგმით 420 ცენტნერი, ვალდებულებით — 650 ცენტნერი. გასულ ხუთ თვეში უკვე მიღებულია 6.630 ცენტნერი რძე. სახელმწიფოს ჩაბარდა 6.323 ცენტნერი რძე და 332 ცენტნერი ხორცი. თვითეულ ძროხაზე წლიური გეგმით გათვალისწინებულია 3.750 კილოგრამი რძის მიღება, აქედან ხუთ თვეში უკვე მიღებულია 1.740 კილოგრამი.

დიდი ყურადღება ეთმობა მოწინავე მუშებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას, აგრეთვე სწავლების სხვა შესაბამის ფორმებს — მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ეკონომიური და ზოოტექნიკური განათლების ამაღლებას. აქ ცოტა როდია ისეთი მუშა, რომელიც დაუსწრებლად სწავლობს საშუალო სპეციალურ ან უმაღლეს სასწავლებელში.

მეურნეობისათვის სოხუმის რაიონის სოფელ ზემო ეშერის ტერიტორიაზე ამჟამად გამოყოფილ იქნა 1.000 ჰექტარი თავისუფალი მიწა. აქ დაგეგმილია და უკვე პრაქტიკულად ხორციელდება მეურნეობის ახალი განყოფილების შექმნა. ამ ხუთწლედის ბოლოსათვის გაგრის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობას სოფელ ზემო ეშერის ტერიტორიაზე ეყოლება 200 სული მაღალპროდუქტიული ძროხა, რაც უზრუნველყოფს ქალაქ სოხუმის მშრომელთა მომარაგებას ახალი რძითა და რძის პროდუქტებით.

გაგრელი მეცხოველეები წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულონ მათ წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანები, რათა მეურნეობა უფრო ძლიერი, სანიმუშო გახდეს.



**სურათებზე:** ზევით, მარცხნივ — გაგრის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი ე. ლეშჩოვა; მარჯვნივ — მეურნეობის ძროხები საძოვარზე; ქვემოთ — სიმინდის მწვანე მასის მექანიზებული წესით აღება.

ფოტო კ. კოროტკოვისა.

# ქართული „მრავალჟამიერი" კანადაში

## კანადური რეპორტაჟი

[illegible]

ფილად როგორ აფასებენ იმას, რასაც ჩვენ—ქართველი კაცი ათასწლეულთა მანძილზე ასე სათუთად უვლიდი და მოიტანე მთელი მსოფლიოს მუსიკალური კულტურის კვარცხლბეკთან.

მე ახლა მონრეალის დიდებული „გრანდ-თეატრის" კულისებში ვიმყოფები. ეს-ეს არის სამიათასიანი დარბაზი მქუხარე ოვაციებით შეეგება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით... ყველაფერი თავის რიგზეა — ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა 70-კაციანი გუნდი კანადის მიწაზე, გასტროლები, კონცერტები, გაზეთები, რადიო-ტელევიზიის ფრანგული და ინგლისური სადგურები, ფეხზე წამომდგარი მრავალათასიანი მაყურებელი, მანიტობას, კვებეკისა და ონტარიოს შტატების ქალაქები: ოტავა, შიკუტინი, კვებეკი, კიტჩენერი, ვინძორი, ლონდონი, შერბრუკი, ტორონტო, ნიაგარა-ფორსი, სანდერბერი, ვინიპეგი და, აჰა, მოგზაურობის დაწყებიდან თითქმის ერთი თვის თავზე ქართველები ორ კონცერტს უკვე მონრეალის საუცხოო დიდ თეატრში მართავენ.

„მისტერ კავსაძის მომღერლებმა მოგვაჯადოვეს!"... „რეზო ხონელიძის მსოფლიოში არნახული მოცეკვავეთა ჯგუფი!" — ასეთი ანშლაგები გვხვდება უდიდესი კანადური გაზეთების ფურცლებზე...

ნიაგარა-ფორსში სიონისტები ცდი[illegible]

[illegible]

ბმაც კი გადაიტყავეს ხელისგულები თავდაუზოგავი ტაშისცემით და აღფრთოვანებით გვეუბნებოდნენ, დიდი მადლობა ასეთი სანახაობისთვისო.

მონრეალში წვიმს. დარბაზი კი გაჩახჩახებულია და ქართული ჰანგებისაგან გუგუნებს.

პატარ-პატარა ბარებიდან გამოქცეული ახალგაზრდა ბარმენები და მინიკაბიანი კოხტა დამტარებლები ფოიეში, პარტერის შესასვლელთან შეგროვილან. სცენაზე საოცარი რამ ხდება: შავულავაშა ჭაბუკები ცეცხლს ანთებენ სცენაზე, და იწყება „მთიულური", შემდეგ კი ყველასათვის საყვარელი „თბილისო".

ბოლოს ყველა კმაყოფილია — კანადელი მსმენელიც და ჩვენი ანსამბლის ხელმძღვანელობაც, ვინაიდან ასე ომახიანად და ყველასათვის გასაგებად აჟღერდა ქართული მრავალჟამიერი ამ შორეული ქვეყნის ცის ქვეშ.

**ვ. მეღვლიშვილი,**
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ქ. მონრეალი, ივნისი.

დღეს, 12 ივნისს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომელიც 3 მაისიდან 8 ივნისამდე საგასტროლოდ იყო კანადაში და 25 კონცერტი გამართა ამ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, თბილისში დაბრუნდება.

# მარელისიდან ბაზელის გამოფენაზე

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს აითვისა ორი ახალი მოდელის ნახევრადრბილი სკამის წარმოება. ერთმა მოწონება დაიმსახურა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ახალი მოდელის სკამი დამზადებულია მაღალი გემოვნებით, იგი მოხერხებული და მტკიცეა. ახალი ნიმუშის სკამს რეკომენდაცია მიეცა ბაზელის საერთაშორისო გამოფენაზე. ეს ფაბრიკის კოლექტივის დიდი მიღწევაა.

# საქართველოს მთა-ბარში

## მეგობრობის კლუბი

სოხუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროში ბარათი მოვიდა, რომლის ავტორები არიან თათრეთის ასსრ ქალაქ ალმატიევსკის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის „წითელი ყაყაჩოს" წევრები.

კლუბი ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ყოფაცხოვრების, კულტურის, განათლებისა და სხვა დარგის ამსახველი მასალების — გერბების, დროშების, რუკების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეების სურათების, მხარეთმცოდნეობითი ჟანრის წიგნების შეგროვებას.

აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა — მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, რესპუბლიკურმა საბავშვო ბიბლიოთეკამ, ხალხური შემოქმედების სახლმა და სხვებმა წერილის ავტორთა თხოვნით უკვე გაგზავნეს აფხაზეთის ხალხის ყოფაცხოვრების ამსახველი მასალები, რომლებსაც ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბში გამოფენენ.

### სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის სპექტაკლებზე

# დიდი წარმატებით

რამდენიმე დღეა თბილისში წარმატებით მიმდინარეობს სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის გასტროლები.

ჩვენმა სტუმრებმა უკვე წარმოადგინეს ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნი". დადგმა ეკუთვნის ქართული დასის მთავარ რეჟისორს ლ. პაქსაშვილს, ინსცენირება — გ. ხუხაშვილს. მაყურებელი დიდი მოწონებით შეხვდა აგრეთვე სპექტაკლებს — გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას ოჯახს" (რეჟისორი ლ. პაქსაშვილი), ნ. პოგოდინის „პეტრარკას სონეტს", (რეჟისორი აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. სულიკაშვილი), ჯ. პრისტლის „სახიფათო მოსახვევს" (რეჟისორი ბ. ტორონჯაძე).

დღეს, 12 ივნისს წარმოდგენილი იქნება ვ. ჰიუგოს „მარია ტიუდორი" (თარგმანი ე. დავითაიასი). დამდგმელი რეჟისორია ლ. პაქსაშვილი, მხატვარი — ე. კოტლიაროვი. სპექტაკლში მონაწილეობენ აფხაზეთის დამსახურებული არტისტები ს. პაჭკორია, ლ. ფილფანი, გ. რატიანი, მსახიობები ვ. მთაწმინდელი, გ. ხურცილავა, ლ. მიქაშავიძე და სხვები.

ხვალ მაყურებელი ნახავს აკ. გასვიანის პიესას „მამა, დააგდე თოფი!"

### შემთხვევები

# ტყე დაწვას გადაარჩინეს

საჩხერე. (საკ. კორ.). ეს ამბავი ახლახან მოხდა. პერევის სატყეოში — პერანგას მთაზე დაუდევრობა-უპასუხისმგებლობით ცეცხლი გაუჩნდა ბუჩქნარსა და ხმელ ბალახს. ხანძარი სწრაფად გაძლიერდა და ემუქრებოდა ახლომდებარე ტყეებს.

ხანძრის ადგილზე გაჩნდნენ პერევის სატყეოს უფროსი ა. ესებუა, ტყის მცველი ა. ლობჟანიძე, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაკები ნ. დავაძე, მ. ბაქრაძე, ვ. მაკასარაშვილი, მაგრამ მათ არ გააჩნდათ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი, სტიქია კი ძლიერდებოდა...

საშველად იხმეს საბჭოთა მეურნეობის პერევის უბნის ბრიგადირი ტ. ქიმაძე, რომელმაც ხანძრის ჩასაქრობად მთელი სოფელი ფეხზე დააყენა.

მამაცმა ადამიანებმა შეუტიეს სტიქიას, ცეცხლის გავრცელებას ყველა გზა გადაუღობეს და ხანძარიც ჩააქრეს. განსაკუთრებით ისახელეს თავი გ. ქიმაძემ, ი. გულიტაშვილმა, გ. გრიგალაშვილმა.

# ა. ჯაფარიძე



გარდაიცვალა ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სკკპ წევრი 1942 წლიდან ალექსანდრე ლევანის-ძე ჯაფარიძე.

ა. ჯაფარიძე დაიბადა 1910 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავში, 1937 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მიწსახკომის ზოოტექნიკოსად. 1941 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც 1944 წლამდე იყო. 1944-1945 წლებში მუშაობდა წითელწყაროს რაიონში თუშური ცხვრის ჯიშთსაშენის დირექტორად, ხოლო 1945-50 წლებში ბოგდანოვკის რაიონში. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეცხოველეობის მეურნეობის დირექტორად. 1950-55 წლებში იყო ქ. თბილისის გარეუბნის რაიონების რძის მრეწველობაში მმართველად, ხოლო 1955-57 წლებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოტექნიკოსად მუშაობდა. 1959 წლიდან გარდაცვალებამდე ა. ჯაფარიძე მუშაობდა ბორჯომის რაიონის ციხისჯვრის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის დირექტორის თანამდებობაზე. იგი დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით და სიგელებით. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება.

სოფლის მეურნეობის დაუცხრომელი მუშაკის, ნიჭიერი სპეციალისტის, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის ალექსანდრე ლევანის-ძე ჯაფარიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# ზაპოროჟიელი სტუმრები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ზესტაფონელ და ზაპოროჟიელ მეტალურგთა მეგობრობას დიდ სამამულო ომამდე ჩაეყარა საფუძველი. ორი მოძმე რესპუბლიკის მეტალურგები ურთიერთს უზიარებენ მდიდარ საწარმოო გამოცდილებას.

ფეროშენადნობთა ქარხანას ახლახან ესტუმრნენ ზაპოროჟიელი თანამოსაქმეები. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. პრუსი. სტუმრებმა დაათვალიერეს ზესტაფონის ქარხანა, ესაუბრნენ მეტალურგებს, გააგრძელეს შეჯიბრება.

ზაპოროჟიელებმა ინახულეს აგრეთვე ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი გორში, ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი, თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობები. ისინი დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ უკრაინაში.

• • •



სურათზე: ჭიათურა. უკრაინელი სტუმრები სიმინდის საფშვნელ მანქანასთან.

ფოტო თ. შეყილაძისა.

# მსოფლიოს ამბები

## ა. სადათის გამოსვლა

კაირო, 11 ივნისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ანვარ სადათი გუშინ გამოვიდა კაიროს რადიოთი და ტელევიზიით. ეგვიპტელი ხალხი, თქვა მან, მშვიდად ვერ იცხოვრებს და იშრომებს მანამ, სანამ არ გაათავისუფლებს 1967 წლის ივნისში ისრაელის აგრესიის დროს ოკუპირებულ მთელ არაბულ ტერიტორიებს და სანამ გარანტირებული არ იქნება პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებები.

პრეზიდენტმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის განუწყვეტელი სამხედრო და საფინანსო დახმარება ისრაელისადმი არაბული ტერიტორიების ოკუპაციაში და სუვერენული არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიაში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობას ნიშნავს.

„ჩვენ, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — გვახსოვს, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები არის ავტორი ეგრეთ წოდებული პრინციპისა „ძალთა თანაფარდობა ახლო აღმოსავლეთში", რომლის შესაბამისად იგი აწვდის ისრაელს ყველაფერს, რაც საჭიროა არაბთა მიმართ მისი სამხედრო უპირატესობის შესანარჩუნებლად. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ამ პრინციპს".

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი პრეზიდენტმა მიუძღვნა სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება, ხაზგასმით აღნიშნა მან, ღირსეულად აგვირგვინებს ორი ქვეყნის ურთიერთობას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის დროს.

„ეგვიპტე — საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ორი ქვეყნის მაღალი პრინციპებისა და გულწრფელი მეგობრობის გამოხატულებაა. იგი განამტკიცებს ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობას და ამავე დროს გვეხმარება განვავითაროთ ჩვენი შესაძლებლობანი, რათა გავათავისუფლოთ ჩვენი ტერიტორიები", — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ხელშეკრულება იმის გარანტიაც არის, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყანა, რომელსაც მაღალგანვითარებული მეცნიერება და უმაგალითო პროგრესი აქვს ყველა დარგში, დაგვეხმარება თანამედროვე სახელმწიფო მშენებლობაში.

ა. სადათმა შემდეგ განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და საბჭოთა კავშირი უწინდებურად განახორციელებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო თანამშრომლობის, აყვავებისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

„ეგვიპტის მეგობრობა საბჭოთა კავშირთან დროებითი პოლიტიკა კი არა, ქვეყნის გენერალური, ხანგრძლივი კურსია", თქვა პრეზიდენტმა.

## სასამართლო ფარსი

ჰავანა. 11 ივნისი. (საკდესი). ამერიკის ქალაქ კი-უესტში გაასამართლეს ოთხი კუბელი მებადური, რომლებიც შეერთებული შტატების სანაპირო დაცვამ უკანონოდ დააპატიმრა 26 მაისს ატლანტის ოკეანის საერთაშორისო წყლებში რეწვის დროს. კუბელ მებადურებს მიუსაჯეს ექვსი თვის პატიმრობა და 10 ათასი დოლარი ჯარიმა. სასამართლოს დარბაზიდან ხელბორკილგაყრილი მებადურები ისევ საპატიმროში მიიყვანეს. მებადურებს ბრალად დასდეს შტატების ტერიტორიული წყლების დარღვევა, თუმცა, ოფიცერმა, რომელმაც ისინი დააპატიმრა, განაცხადა, რომ სანაპირო დაცვამ კუბელები შეიპყრო შეერთებული შტატების ეროვნული წყლების ფარგლებს გარეთ.

მხოლოდ ძალიან მდიდარ ადამიანებს აქვთ იმის საშუალება, რომ თავიანთი კანდიდატურა წამოაყენონ კონგრესში და ამერიკის სხვა საარჩევნო დაწესებულებებში. ახლა ამერიკა ემზადება 1972 წლის არჩევნებისათვის. (გაზეთებიდან).



არჩევნებისათვის მოემზადა.
კარიკატურა ამერიკულ გაზეთ „ჩიკაგო სან-ტაიმსიდან".

## დანებდა 300 მეამბოხე

კოლომბო. 11 ივნისი. (საკდესი). ოპერაციების სამი დღით შეწყვეტის შემდეგ ცეილონის მთავრობის ჯარებმა განაახლეს მოქმედება მეამბოხეთა იმ ჯგუფების ლიკვიდაციისათვის, რომლებმაც თავი შეაფარეს ჯუნგლებში.

ოპერაციების შეწყვეტის პერიოდში მთავრობის ჯარებს ნებაყოფლობით დანებდა 300 მეამბოხე.

# სპორტი

## მადრიდის რინგზე

გუშინ ესპანეთის დედაქალაქში გაიხსნა ევროპის მეცხრამეტე ჩემპიონატი კრივში. ეს არის სეზონის ერთ-ერთი უდიდესი ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობს 27 ქვეყნის 200 წარმომადგენელი. რინგზე გამოდიან ტყავის ხელთათმანის ოსტატები, რომელთა შორის არიან ჩვენი კონტინენტის ჩემპიონები, პრიზიორები. მთლიანი გუნდი (11 კაცი) შეჯიბრებაზე გამოჰყავთ ბულგარეთს, სსრ კავშირს, იტალიას, პოლონეთს, რუმინეთს, თურქეთს და ტურნირის მასპინძლებს — ესპანელებს.

შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოკრივე პირველი წარუმატებლობისთანავე კარგავს უფლებას განაგრძოს ბრძოლა. ამიტომ მაც ყოველ შეხვედრას, სტარტზე იქნება იგი თუ ბრძოლის სხვა ეტაპზე, არსებითი მნიშვნელობა აქვს.

უკანასკნელ ჩემპიონატზე საბჭოთა მოკრივეები ოთხჯერ ავიდნენ გამარჯვებათა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. თუ როგორი იქნება წელს ჩვენი მოკრივეების შედეგები, ამაზე წინასწარ ძნელია მსჯელობა, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა პირველად გამოდის ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში.

სპორტის მოყვარულებს საშუალება ექნებათ ტელევიზორის ეკრანზე ნახონ არაერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობა. 17 და 18 ივნისს ნავარაუდევია მეოთხედფინალურ და ნახევარფინალური მატჩების რეპორტაჟი, ხოლო 19 ივნისს განზრახულია ფინალური შეხვედრების ტრანსლაცია.

## საკუთარ კარში

### მეგობრობის თასზე

თეირანი, 11 ივნისი. (საკდესი). თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა „მეგობრობის თასის" მატჩში ფრედ დაამთავრეს შეხვედრა ირანის „პასთან" — 1:1. საკუთარ კარში ბურთი გაიტანა ირანელმა ფეხბურთელმა. ამავე დღეს შეჯიბრების ლიდერებმა — პოლონეთის „ზაგლემბეს" (სოსნოვიცე) ფეხბურთელებმა მოუგეს ირანის ახალგაზრდულ ნაკრებს — 3:1.

## შესარჩევი შეხვედრები

კოპენჰაგენი. დანიის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა პირველმა დაამთავრა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები. უკანასკნელ მატჩში დანიელებმა დაამარცხეს შოტლანდიის ნაკრები 1:0. მეხუთე ჯგუფში ლიდერები არიან ბელგიელები, რომლებსაც რვიდან რვა ქულა აქვთ. პორტუგალიის გუნდს რვიდან ექვსი ქულა აქვს, შოტლანდიელებს — რვიდან ორი ქულა, დანიელებს — თორმეტიდან ორი ქულა.

ოსლო. წარმატებით გამოდიან ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში ბულგარელი ფეხბურთელები. მორიგ მატჩში მათ დაამარცხეს ნორვეგიის გუნდი 4:1 და ექვსიდან ხუთი ქულით ლიდერები არიან. საფრანგეთის გუნდს ოთხიდან სამი ქულა აქვს, უნგრელებს — ექვსიდან სამი ქულა, ნორვეგიელებს — რვიდან ერთი ქულა.

სტოკჰოლმი. იტალიელმა ფეხბურთელებმა მეექვსე ჯგუფის მორიგი შეხვედრა შვედებთან ფრედ — 0:0 დაამთავრეს და განიმტკიცეს ლიდერის პოზიცია. ახლა მათ რვიდან შვიდი ქულა აქვთ, შვედებს — რვიდან ექვსი ქულა, ავსტრიის გუნდს — ექვსიდან ორი ქულა, ირლანდიის ნაკრებს — ათიდან ერთი ქულა.

## შესწორება კალენდარში

16 ივნისს როტერდამში სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს საპასუხო შესარჩევი მატჩი ექნება ჰოლანდიელ ფეხბურთელებთან. ამან გამოიწვია საკავშირო ჩემპიონატის კალენდარის ნაწილობრივი შეცვლა.

მაგალითად, მოსკოვის „დინამოსა" და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის, თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტის", ბაქოს „ნეფტჩისა" და ვოროშილოვგრადის „ზარიას", ერევნის „არარატისა" და დონეცკის „შახტიორის", ტაშკენტის „პახტაკორისა" და მინსკის „დინამოს", აგრეთვე ალმა-ატის „კაირატისა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდების შეხვედრები 19 ივნისის ნაცვლად შედგება ერთი დღით გვიან — 20 ივნისს.

კიევის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდების მატჩი კალენდრის შესაბამისად 19 ივნისს გაიმართება.

## მეორე ეშელონის მატჩები

გრძელდება „ა" კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ზონის ფეხბურთელთა კოლექტივების საკავშირო პირველობა ფეხბურთში. მორიგი ტურის მატჩების შედეგები ასეთია:

„დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ტამბოვი) 1:1, „დინამო" (ბათუმი) — „სპარტაკი" (სარანსკი) 1:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „ხიმმაშოვეცი" (პენზა) 2:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:0.

### გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნებამ გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ პირსა და ორგანიზაციას, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი ოჯახის დიდი მწუხარება გრიგოლ გიორგის-ძე ფოფხაძის გარდაცვალების გამო.

**გ. ფოფხაძის ოჯახი.**

**1971 წლის 14 ივნისს დღის 1 საათზე საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში (ათონელის ქ. 25) მოწვეულია საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი,** მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის შედეგებისადმი.

საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.


# კონკურსი

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად

1969 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 15 აგვისტოს № 450 დადგენილებით დაწესებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია 2000 მანეთის ოდენობით. იგი მიენიჭება საზოგადოებრივ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში შესრულებული ნაშრომისათვის როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და მეცნიერ თანამშრომლებს, ისე რესპუბლიკის სხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებათა მუშაკებს.

1971 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭება უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ინდივიდუალური ან კოლექტიური სამეცნიერო გამოკვლევებისა და მონოგრაფიისათვის.

შრომების წარმოდგენა შეუძლიათ როგორც უნივერსიტეტის კათედრებს, ისე სხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებს, მეცნიერთა ჯგუფებს ან ცალკეულ მეცნიერებს.

საკონკურსო ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნას სამ ცალად, დართული უნდა ჰქონდეს დასაბუთება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების სია, მუშაობის ადგილი და თანამდებობა).

საკონკურსო მასალები უნდა წარედგინოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილს 1971 წლის 15 დეკემბრამდე მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1, ტ. 22-94-49.

### თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის ასისტენტურ სტაჟირებაში შემდეგი სპეციალობის მიხედვით:

1. სპეციალური ფორტეპიანოს სპეციალობით (წარმოებისაგან მოწყვეტით) — ერთი ადგილი.
2. საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ) — ერთი ადგილი.

განცხადებები მიიღება 14 ივნისამდე. გამოცდები ჩატარდება 16 ივნისიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კონსერვატორიის კადრების განყოფილებაში.

მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 8. ტელ. 93-52-28.

# თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

აცხადებს მიღებას 1971-72 სასწავლო წლისათვის დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე შემდეგი სპეციალობებით:

დღისა და საღამოს დასწრებულ განყოფილებებზე — ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, სოლო სიმღერის, საგუნდო-სადირიჟორო, კომპოზიციის და მუსიკისმცოდნეობის (მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის და ხალხური მუსშემოქმედების) სპეციალობით.

დაუსწრებელ განყოფილებაზე — ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, საგუნდო-სადირიჟორო, კომპოზიციის და მუსიკისმცოდნეობის სპეციალობით.

(მუსიკისმცოდნეობის, ხალხური მუს. შემოქმედების და საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით მისაღები გამოცდები იწარმოებს მხოლოდ ქართულ სექტორზე).

დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსვლელი აბიტურიენტები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა (საგამოცდო პროგრამის შესრულება) და კოლოკვიუმი — ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, საგუნდო დირიჟორობის, სოლო სიმღერის, ხოლო კომპოზიციის სპეციალობაზე შემსვლელთათვის საკუთარი ნაწარმოების წარდგენა. 2. სოლფეჯიო (წერა, ზეპირი) — ყველა სპეციალობაზე შემსვლელთათვის; 3. ჰარმონია (წერა, ზეპირი) — გარდა სოლო სიმღერისა; 4. მუსიკის ლიტერატურა — კომპოზიციის და მუსიკისმცოდნეობის სპეციალობაზე შემსვლელთათვის; ამავე დროს მუსიკისმცოდნეობის სპეციალობაზე შემსვლელნი აბარებენ წერით გამოცდას სპეციალობაში. 5. მუსიკის ელემენტარული თეორია (წერა, ზეპირი) — სოლო-სიმღერის სპეციალობაზე შემსვლელთათვის; 6. სავალდებულო ფორტეპიანო — კომპოზიციის, მუსიკისმცოდნეობის და საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობაზე შემსვლელთათვის; 7. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა); 8. სსრკ ისტორია (ზეპირი).

განცხადებები მიიღება 7 ივლისამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 10 ივლისიდან. კონსულტაციები — 25 ივნისიდან.

დაუსწრებელი განყოფილების (ფორტეპიანოს სპეციალობით) მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ ის პირნი, რომელნიც მუშაობენ ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში, გორში, რუსთავში, ფოთში, თელავში, სიღნაღში, ბორჯომში და არიან ადგილობრივი მცხოვრებნი.

ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 8. ტელეფონი — 99-91-47.


# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## ტელევიზია

### 12 ივნისი

#### პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, — 11.00 — მხატვრული ფილმი — „სერიოჟა", 12.20 — კინონარკვევი, 12.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია ქართულ ენაში, 13.15 — ლექცია ფიზიკაში, 14.00 — „პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე", 14.20 — გადაცემა — „ახალგაზრდული საქმეები", 14.40 — სპორტული გადაცემა — „მობურთალსა მოედანი", 15.00 — კინოპროგრამა, 16.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „იწყება პიონერული ზაფხული", 18.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" (მოსკოვი), — „ტორპედო" (მოსკოვი), 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღე, 20.10 — „მუსიკოსები იცინიან", 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „ხვალ არჩევნებია", 21.25 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ" — წულუკიძის რაიონი, 22.45 — საერთაშორისო შეჯიბრება მძლეოსნობაში გაზეთ „პრავდის" პრიზზე (გადმოცემა ტალინიდან).

#### მეორე პროგრამით

20.00 — სკოლების დასახმარებლად — ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი. „ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამების მიმოხილვა", 21.00 სტუდენტთა დასახმარებლად — ხაზვა, 22.00 — მხატვრული ფილმი — „შორეული საპატარძლო".

### 13 ივნისი

#### პირველი პროგრამით

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში, 10.15 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია მათემატიკაში, 11.45 — კინონარკვევი, 11.55 — ლექცია ქიმიაში, 12.40 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — „კინოაფიშა", 13.40 — „დღეს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა დღეა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.10 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „გლობუსი", 15.00 — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.30 — კინონარკვევი, 15.40 — კონცერტი ბავშვებისათვის, 16.40 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — კინოპროგრამა, 17.30 — ახალი ამბები, 17.40 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „სტუდენტური ზაფხული", 18.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „მუსიკალური ფოსტა" — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 19.50 — გადაცემა „კინომხატვარი ქრისტესია ლებანიძე", 20.25 — „სოხუმის თეატრის გასტროლები". ქართული დასი, 21.10 — მხატვრული ფილმი — „უბრალო ისტორია". 22.35 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა — რეპორტაჟი საარჩევნო უბნებიდან, 23.00 — შეგობრების შეღოდიები.

#### მეორე პროგრამით

20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოპროგრამა" დოკუმენტური ფილმი „აკადემიკოს ქსენია ბახტაძის სელექციური მეთოდი", „ტყის სიმდიდრეთა მზვერავები", 20.40 — მხატვრული ფილმი — „ცეცხლის ფონი არა გაქვს".

რედაქტორი
**დ. მეღვლიშვილი.**


კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების—99-55-01, ინფორმაციის—93-16-90, სატირისა და ფელეტონის—99.60-21, უცხოეთის—93-95-97, წერილების—99-73-24, ილუსტრაციის—93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04699 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14,